# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 19 ივლისი, 2011 წელი.

№134 (6745)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# პროტესტი

## რაში არ ეთანხმება ნიკა გილაურს „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი და რატომ დაემუქრა პრემიერი ბიზნესმენებს?

②

## დასავლეთის სააკაშვილისთვის ყურის აწევაზე უარი აქვს ნათქვამი

③





⑥

## მამუკას მარტოსულობა

ვის რას აძლევს საქართველოს მიერ აფხაზეთის აღიარება?

## კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეების სრული აცილება რთული ამოცანაა არა მარტო ჩვენთვის...

④

## დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ჟურნალისტურ გაერთიანებებს, საქართველოს ხელისუფლებას, საზოგადოებას

„უკვე კვირაზე მეტია, არ წყდება ჟურნალისტების საპროტესტო აქციები. ქართველი ფოტორეპორტიორები – გია აბდალაძე, ირაკლი გედენიძე და ზურაბ ქურციკიძე კვლავ პატიმრობაში რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბრალის დამადასტურებელი ფაქტობრივი მტკიცებულებები წარმოდგენილი დღემდე არ ყოფილა. საეჭვო ვითარებაში, იძულებით მიღებული აღიარებები ვერ გვარწმუნებენ ფოტორეპორტიორების ჯაშუშობაში.

ამ ადამიანების ღამეულმა დაკავებებმა, მათ მიმართ განხორციელებულმა საპროცესო ქმედებებმა, საქმის მასალების გასაიდუმლოებამ, ჟურნალისტების საპროტესტო აქციებისა და შეკითხვების მიმართ ხელისუფლების ცინიკურმა დამოკიდებულებამ და სატელევიზიო ინსინუაციებმა, დამოუკიდებელი მედიისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. ჩვენ მომხდარს აღვიქვამთ, როგორც შურისძიებას და დევნას სიმართლის ასახვისათვის, რაც ხელისუფლების მიერ დემოკრატიულ განვითარებაზე ფაქტობრივად უარის თქმას ნიშნავს.

მიგვაჩნია, რომ ასეთი ქმედებები, რომელზეც პასუხისმგებლობა ეკისრება პირველ რიგში პრეზიდენტს და ძალოვანი უწყებების პირველ პირებს, ლახავს ჩვენი, როგორც მედიის წარმომადგენლების უფლებებს და უდიდეს ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს.

მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ჟურნალისტურ გაერთიანებებს, არ მოადუნონ ყურადღება ამ საქმესთან დაკავშირებით.

მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, გაითვალისწინოს ჟურნალისტებისა და საზოგადო მოღვაწეების წერილობითი შუამდგომლობა და თავდებით გაათავისუფლოს გია აბდალაძე, ირაკლი გედენიძე და ზურაბ ქურციკიძე. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჯარო გახადოს საქმის მასალები. შეწყვიტოს ჟურნალისტების დევნა მათი პროფესიული საქმიანობის გამო“, – აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ შემდეგი ასოციაციები, გაზეთები, ჟურნალები, სააგენტოები:

საქართველოს პრესის ასოციაცია, საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია; საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია; „ასავალ-დასავალი“; „ახალი თაობა“; „კვირის პალიტრა“; „რეზონანსი“; „ალია“; „ქრონიკა“; „ვერსია“; „ოლიმპი“; „საქართველოს რესპუბლიკა“; „დრონი“; „ფაინენშელ“; „მესენჯერი“; „ნეტგაზეთი“; „ყველა სიახლე“; „ლელო“; „სარკე“; „თბილისელები“; „რეიტინგი“; „გზა“; „ლიბერალი“; „გურია ნიუსი“; „ბათუმელები“; კახეთის საინფორმაციო ცენტრი; მცხეთა-თიანეთის საინფორმაციო ცენტრი; „თავისუფალი სიტყვა“; „მთავარი თემა სამეგრელოში“; „ქართლის ხმა“; „ჩემი ხარაგაული“; „ალიონი“; „ლანჩხუთი პლუსი“; „რუსთავის ამბები“; „ახალი გაზეთი“; „სამხრეთის კარიბჭე“; „ჰო და არა“; ინტერპრესნიუსი; პირველი; ჯი-ეიჩ-ენი; მედიანიუსი; მედია.ჯე; პრესაგე.ტვ;

**ხელმოწერები გრძელდება**





⑨

## დედამიწის მთავარი რევოლუციონერი

## სააკაშვილი და დესტაბილიზაციის ჩავარდნილი გეგმა



⑧



## „პოლიტიკური აქტი“, იურიდიული დოკუმენტი თუ ფარატინა ქაღალდი?

③

## ბიუჯეტის შევსება ნაგვითაც შეიძლება!

⑤

უგულავამ სააკაშვილისგან დამოუკიდებლად საკუთარი ყულაბა გაიკეთა

**შეხვედრა ბიზნესმენებთან**

# რაში არ ეთანხმება ნიკა გილაურს „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი და რატომ დაემუქრა პრემიერი ბიზნესმენებს?

## რატომ არ მოაბეზრეს ამ უკანასკნელებმა პრემიერს თავი საკუთარი პრობლემებით და რად არ იწუწუნეს რაღაც „ყოფითზე“?

**2 აგვისტომდე ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვალის ჭერის განსაზღვრა უნდა მოესწროს. ანალიტიკოსები კი, ამ დროს, უდიდესი სახელმწიფოს ეკონომიკის დეფოლტს წინასწარმეტყველებენ. არა უშავს, ამერიკა საქართველოსგან ძალიან შორსაა, ისე შორს, როგორც ჩვენი „ეკონომიკები“: ჩვენ ხომ გაცილებით წინა ვართ!**

გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლები: პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე ბიზნესმენებს შეხვდნენ. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ასეთი შეხვედრები ყოველ სამ თვეში ერთხელ გაიმართება და მაკროეკონომიკური პარამეტრების მონაცემებს წარადგენს. პრეზენტაციებმა, ბუნებრივია, იდილიურ გარემოში ჩაიარა, ისე რომ, შეხვედრის დასასრულს მხოლოდ თემურ ჭყონიამ შეიტანა შეხვედრაში დისონანსი. არადა, გასაკვირი კია — 50-ზე მეტი ბიზნესის წარმომადგენლისგან არც ერთი კითხვა და შენიშვნა არ ყოფილა. სამართლიანი იყო ნიკა გილაურის კომენტარი: „ნუთუ არ გაწუხებთ არაფერი... ამის შემდეგ არ გამაგონოთ, ვინმემ თქვას, პრობლემები მაქვსო“, — დასძინა მან ხუმრობით.

ეს იყო შეხვედრის დასასრულს, თუმცა საინტერესოა, რა მოისმინეს იქამდე ბიზნესმენებმა, რომელთაც გაგონილმა „ენა ჩააყლაპვინა“.

**ნიკა გილაური: „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო შეთანხმება „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“. ბიზნესმენებისთვის და ინვესტორებისთვის საინტერესოა, რა ხდება არა მარტო დღეს, არამედ, რა ელოდება მათ ბიზნესს გრძელვადიან პერსპექტივაში, 20-25 წლის შემდეგ. ჩვენ გპირდებით, რომ გრძელვადიან პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტი არ იქნება 3 პროცენტზე მაღალი, მთავრობის ხარჯები 30 პროცენტს არ ასცდება და საგარეო ვალი 60 პროცენტს, ანუ ეს იმის გარანტიაა, რომ გადასახადები არ გაიზრდება“.**

პრემიერ-მინისტრი აღფრთოვანებულია ევროზონდების გამოშვებით. მისი თქმით, საკმაოდ წარმატებული ტრანზაქცია გვაქვს ბაზარზე. იმაზე უკეთესი, ვიდრე უკრაინას და ისეთივე, როგორც ხორვატიას. თურმე საქართველოს ფასიანი ქაღალდები იმაზე უკეთესად იყიდება, ვიდრე იტალიისა, ირლანდიისა... ანუ ინვესტორი ენდობა ქართულ ევრზონდებს. ნიკა გილაურის პროგნოზით, ეკონომიკური ზრდა მაღალი იქნება. მიმდინარე წლის I კვარტალი ამ თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე II კვარტალი,თუმცა III-IV პირველზე უმჯობესი იქნება. **„წლის დასაწყისში ბიუჯეტის დეფიციტი 4,8 პროცენტით განისაზღვრა, მაგრამ 3,7 პროცენტამდე შევამცირეთ. გასული წლის 14,3-პროცენტიანი ინფლაცია, ბოლო მონაცემებით 10 პროცენტამდე დავიდა. ამაზე პირდაპირ გავლენას ახდენს საერთაშორისო სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდა, ახლა კი კლების ტენდენცია და მონეტარული პოლიტიკის წვლილი ამ ფაქტორში უმნიშვნელოა“,** — აღნიშნა მან. ამ თეზას ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც დაეთანხმა. აღმოჩნდა, რომ უძრავი ბიზნესის სექტორი ყველაზე ნელა გამოდის რეცესიიდან, თუმცა შემოდგომიდან გამოცოცხლებას ელოდებიან. ყველაზე წარმატებული ექსპორტი საქართველოსთვის ავტომობილების ბიზნესი ყოფილა. მართალია, ჩვენ არა ვართ მწარმოებელი ქვეყანა, მაგრამ ავტომობილებით ვაჭრობა რეგიონული თვალსაზრისით ერთ-ერთ წარმატებულ სფეროდ ჩამოყალიბდა. პირდაპირი ინვესტიციებიც 5-ჯერ გაზრდილა. რაც შეეხება საგარეო ვალს, პრემიერ-მინისტრი ამ ამბავს მშვიდად ხვდება: **„მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში საგარეო ვალმა მაქსიმუმს 2010 წელს მიაღწია. მაგრამ ევრობონდებმა ამ თვალსაზრისით ვითარება განმუხტა. ამჟამად ჩვენ გვაქვს 40-50 პროცენტი. რაც მთავარია, მომსახურება იაფია და დაბალი საპროცენტო განაკვეთით ვიხდით.**

**ეს ყველაფერი ჯამში გვაძლევს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. ჩვენი გათვლებით, აგვისტოში ინფლაცია კიდევ უფრო დაბლა ჩამოვა“,** — დაგვაიმედა გილაურმა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც ვარაუდობს, რომ წლის ბოლოსთვის ინფლაცია 6 პროცენტს არ გადააჭარბებს. **„მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში ეკონომიკური ზრდა მაღალი გვაქვს, თუმცა ჩვენზე უკეთესი აქვთ თურქეთსა და აზერბაიჯანს. განსაკუთრებით შემოსავალი იზრდება ტურიზმიდან. მოგეხსენებათ, ჯამურად ტურისტების რაოდენობა საბჭოთა კავშირის დროს 10 მილიონსაც აღწევდა და ჩვენც ამაზე გვაქვს ორიენტაცია. დოლარების შემოსავალი კვირიდან კვირამდე მატულობს. ამას ემატება გზავნილები იტალიიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან. რადგან იქ ეკონომიკური რყევებია, ჩვენი მოლაქაეები დანაზოგებს აქეთ აგზავნიან. ალბათ, საბოლოოდ ამ დანაზოგებს უძრავი ქონებისთვის გამოიყენებენ, რაც ამოქაჩავს კიდეც ამ ბაზარს. იზრდება იმპორტიც და ექსპორტიც. იმპორტით დაახლოებით 2008 წლის მაქსიმუმს ვუახლოვდებით, როცა შემოსავალი 6 მილიარდზე მეტი იყო, ექსპორტში 600 მილიონით მატება გვაქვს. საკმარისი საერთაშორისო რეზერვები გაგვაჩნია იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ ეკონომიკური სტაბილურობა“.**

გიორგი ქადაგიძე მონეტარულ პოლიტიკასაც შეეხო. კერძოდ, გაცვლითი კურსის თემას. ლარის გამყარების წნეხი გაგრძელდება, რაც ბიზნესმენებმა უნდა გაითვალისწინონ, რადგან სავალუტო რისკის საკითხი ძალიან სენსიტიური და მნიშვნელოვანია. **„დოლარისა და ლარის მერყეობა გავლენას ახდენს ლარზე, თუმცა ყველაზე ცუდი შედეგი ლარის თურქულ ლირასთან მიმართებაში გვაქვს, რომელიც დაახლოებით 17 პროცენტით გამყარდა, ანუ თურქული პროდუქცია ქართულზე 17-ჯერ იაფია და ძლიერი კონკურენტია. თურქეთი დეკლარირებულად აიაფებს ეროვნულ ვალუტას და ჩინეთის გზას ადგას, რაც პრობლემებს უქმნის იქ მოღვაწე ბიზნესმენებს“,** — აღნიშნა მან.



ყველაზე სასიამოვნო, რაც ქადაგიძისგან ბიზნესმენებმა მოისმინეს, ის იყო, რომ შესაძლოა საპროცენტო განაკვეთები დასწიონ. ასევე პრიორიტეტი გახდება გრძელვადიანი სესხების გაცემა, ბანკები ამ საკითხს აქტიურად სექტემბერში განიხილავენ. **„საბანკო სექტორი მომგებიანი გახდა 2009 წლისგან განსხვავებით. ჩვენი მიზანია, ბანკის მიმართ ნდობის ამაღლება და არა მისი დემონიზაცია, როგორც ეს დღეს არის მიჩნეული. მოსახლეობასაც და ბიზნესსაც ბანკთან ურთიერთობისას უნდა ჰქონდეთ დაცულობის განცდა“,** — დასძინა მან.

ახალ ფინანსთა მინისტრს ვრცელი პრეზენტაციით თავი არ გამოუჩენია: **„სტაბილურობა, საგადასახადო ამნისტირება და ლიბერალური ეკონომიკის პრინციპები — ეს თემები აინტერესებთ ბიზნესმენებს და ჩვენ კურსი აქეთკენ გვაქვს აღებული. ალბათ, მივაღწევთ ბიუჯეტის 3-პროცენტიან დეფიციტს, რაც საუკეთესო მაჩვენებელია და რაც საბოლოოდ დაცული ეკონომიკის გარანტი იქნება“,** — განაცხადა მან.

ასეთი ოპტიმიზმის შემდეგ, ალბათ, ბიზნესმენებს ძალიან ეუხერხულათ საკუთარი პრობლემებით მოებეზრებინათ თავი სახელმწიფო მოხელეებისთვის და რაღაც „ყოფითზე“ ეწუწუნათ. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზნესმენმა თემურ ჭყონიამ გილაური არ დაინდო და პირში მიახალა: **„ბატონო პრემიერო, თქვენ კი ამბობთ, რომ ინფლაცია მაღალია, მაგრამ ზოგიერთ პროდუქტზე ფასი ისეთი მაღალია, ბევრ ჩვენზე განვითარებულ ქვეყანას არც მოელანდება. ან 10 მილიონ ტურისტზე რომ ლაპარაკობთ, ამდენი რომ ერთბაშად შემოვიდეს, ვერავინ გაგვასწრებს, რადგან შესაბამისი სერვისი არა გვაქვს. სესხებზე განაკვეთი კი დასწიეს ბანკებმა, მაგრამ მაინც შესაშურად მაღალია და იქნებ რეალურად ვიფიქროთ იმაზეც, და ბოლოს, მონოპოლიზაციისა და კონკურენციის პრობლემა მისახედია, ამაზე მსჯელობა აუცილებლად გვმართებს“,** — დასძინა მან.

ამაზე დაწვრილებით შემდეგ შეხვედრაზე ვისაუბროთო, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. მეტი კითხვა არც ყოფილა. შეხვედრა დამთავრდა, თუმცა ბიზნესმენებს არ დავიწყებიათ მთავარი — აპლოდისმენტები... ალბათ, წარმატებული ეკონომიკური კურსის გამო მადლიერების გამოსახატავად?!

**თეა მოსია**

---

**ბრიფინგი**

## მიმართვა ევროკავშირის პრეზიდენტს

**მოძრაობამ „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ევროკომისიის პრეზიდენტს ხოსე მანუელ ბარიზოს 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევისა და დაკავებულ პირებზე წერილობითი ინფორმაცია მიაწოდა.**

**ამ თემასთან დაკავშირებით 18 ივლისს მოძრაობის ლიდერმა ეკა ბესელიამ ბრიფინგი გამართა. და ევროკომისიის ხელმძღვანელის პასუხი გაავრცელა — ევროკავშირი მოუწოდებს ყველა პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომ აქტიურად ჩაერთონ კონსტრუქციული და მთავარი საკითხების განხილვაში. მხოლოდ ამის გაკეთებისა და ძალადობის უარყოფის შემდეგ, საქართველოს შეუძლია გახდეს დემოკრატიის მაგალითი რეგიონში...**

**საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლებას ერთსულოვნად მოუწოდეს 26 მაისის მოვლენების გამოძიების აუცილებლობაზე.**

**როგორც ცნობილია, ამ საკითხზე მოკვლევა დასრულდა. დისციპლინური წესით დაისაჯა თექვსმეტი პოლიციელი, მათ შორის ოთხი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, თუმცა საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია მათი ვინაობა.**

**ეკა ბესელია გამოეხმაურა გამოძიებას — ეს გადაწყვეტილება გახლავთ სრულიად შეუსაბამო და არაადეკვატური იმ ქმედებებისა და დამდგარი შედეგისა, რომელიც განხორციელდა პოლიციელთა და სპეცრაზმელთა მხრიდან. გარდაიცვალა რამდენიმე და სხეულის დაზიანება მიიღო ასეულობით ადამიანმა. მათ შორის მხედველობა დაკარგა ბესიკ ტაბატაძემ...**

**უფლებადამცველთა სახელით ეკა ბესელიამ მოითხოვა: „დასჯილ“ პოლიციელთა ვინაობის გამხელა, პროცესის საჯაროობა და ობიექტური, გამჭვირვალე გამოძიება 26 მაისს განხორციელებულ ძალადობის ყველა შემთხვევაზე.**

**გულნაზ გახარია**

---

**პროექტი**

## დაიწყო ფართომასშტაბიანი მედიამონიტორინგი

**მიმდინარე კვირიდან საქართველოში ფართომასშტაბიანი მედიამონიტორინგი დაიწყო. დაკვირვება და კონტროლი შეეხება აბსოლუტურად ყველა საინფორმაციო საშუალებას: ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიას, რადიოს, პრესას. პროექტს ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა აფინანსებენ. მონიტორინგის ჯგუფში შვიდი არასამთავრობო ორგანიზაცია შედის, რომელიც მკაცრი კონკურსის შედეგად შეირჩა: სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, სამოქალაქო საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, კავკასიის კვლევის ცენტრი, ინტერნიუს საქართველო, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.**

რატომ გახდა აუცილებელი მედიის მეთვალყურეობა? როგორც ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა აღნიშნა: „მედიის მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციაა. იგი ხელს უწყობს პროფესიული, დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ჩამოყალიბებას და ობიექტურ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას. მონიტორინგი გამოავლენს, როგორია მედიის მდგომარეობა საქართველოში პროფესიული, ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით, შეესაბამება თუ არა მისი დონე თანამედროვე დემოკრატიულ ღირებულებებს“.

კვლევის შედეგები ოქტომბერში გახდება ცნობილი. როგორც მეთვალყურეთა ჯგუფის წარმომადგენლები ირწმუნებიან, პროექტის მიზანი მხოლოდ მშრალი ანალიზი არ არის, არამედ გაკეთდება რეკომენდაციები, როგორ შეიძლება მიიღწეს უფრო დაბალანსებული და ნეიტრალური საინფორმაციო სივრცე. მონიტორებს პროფესიული ტრენინგები ჩაუტარა სლოვაკურმა არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია „მემო 98“-მა, რომელსაც ამ სფეროში მოღვაწეობის 10-წლიანი გამოცდილება აქვს.

„მოხარული ვარ, რომ ძლიერი პროფესიონალების გუნდის შეკრება მოვახერხეთ. მივესალმები იმასაც, რომ ამ საკითხით საქართველო დაინტერესდა. მედია არის და უნდა იყოს კიდეც ხელისუფლების კონტროლის მკაცრი იარაღი, მაგრამ მას ამისთვის თავისუფლების მაღალი ხარისხი, დამოუკიდებელი სივრცე და პროფესიონალიზმი სჭირდება, საბოლოო მიზანი კი ისაა, რომ საზოგადოების მართებულ ფორმირებას შეუწყოს ხელი“, — აღნიშნა გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა **ჯეიმი მაკგოლდრიკმა.**

როგორც ჩანს საერთაშორისო ორგანიზაციები ძალიან კარგად არიან ინფორმირებული ჩვენთან მედიის მდგომარეობის შესახებ, თუმცა, ცდილობენ, მეტი გაარკვიონ. პროექტის ბიუჯეტიც საკმაოდ სოლიდურია — ის 745 ათას ევროს შეადგენს.

**ნია ფიფია**

„განმარტებითი" ბარათის განმარტება



# „პოლიტიკური აქტი", იურიდიული დოკუმენტი თუ ფარატინა ქაღალდი?

**პარლამენტმა საპატრიარქოსთან კომპრომისულ შეთანხმებას მიაღწია. თუმცა, ძნელი სათქმელია, ამ შეთანხმებას შეასრულებს თუ არა. ყოველ შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება რომ განმარტებითი ბარათის კანონის მიღების შემდეგ შეიცვალოს, ხელისუფლებას იმის საშუალებას აძლევს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მიცემული პირობა არ შეასრულოს.**

საქმე ის არის, რომ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი ითვლება იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად, რომლის გამოყენება ხდება ძირითადად სასამართლოებში და პოლიტიკური დავებისას.

ამ შემთხვევაში კი, იურისტთა თქმით, პრობლემა არის ის, რომ ბიუროს გადაწყვეტილება რეგლამენტის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს. ანუ, ამ განმარტებით ბარათს არანაირი იურიდიული ძალა არ ექნება და საჭიროების შემთხვევაში ძველი განმარტებითი ბარათის გამოყენება მოხდება.

წმინდა სინოდის კრების შემდეგ ითქვა, რომ „სამოქალაქო კოდექსში" შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით ორმაგი კომპრომისი იქნა მიღწეული. ეს კომპრომისი კი იმას გულისხმობს, რომ, ერთის მხრივ, საპატრიარქო ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი არ წავა და, მეორეს მხრივ, მთავრობა რამდენიმე ვალდებულებას იღებს. მათ შორის, გააძლიერებს მოქმედებას საზღვარგარეთ ქართული მართმადიდებელი ეკლესიებისთვის სტატუსის მოსაპოვებლად, ქვეყნის შიგნით მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსს არანაირი საფრთხე არ დაემუქრება და სხვა ეკლესიების ქონების საკითხი ამ კანონით არ დარეგულირდება.

ეს არის შეთანხმების ძირითადი საკითხები და უნდა ითქვას, რომ მთავრობის მხრიდან გაკეთდა საპასუხო განცხადებები, რომ ისინი ამ ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფენ.

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე კი პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ უკვე მიღებული კანონის განმარტებითი ბარათი დაზუსტდება!

ამ განმარტებითი ბარათის ანალოგი არ მოიძებნება. აქამდე არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ პარლამენტს ჯერ კანონი მიეღოს და შემდეგ – განმარტებითი ბარათი, ვინაიდან განმარტებითი ბარათი თავისი არსით გულისხმობს იმის განმარტებას, რა საკითხებსაც კანონპროექტი ეხება.

აღსანიშნავია, რომ განმარტებითი ბარათი კანონპროექტს ახლავს ხოლმე თან მანამ, სანამ ის დამტკიცდება და გამოქვეყნდება. განმარტებით ბარათში საუბარია საკანონმდებლო ინიციატივის მიზანზე, არსზე, ფინანსურ გაანგარიშებებზე, ექსპერტების თანამონაწილეობაზე და ა.შ.

ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას აქვს კანონის მომზადებლების მიერ დაწერილი განმარტებითი ბარათი იქნება თუ არა კანონიერი და მეორე, ამას რა იურიდიული ძალა ექნება.

პირველი საკითხით რომ დავიწყოთ, საინტერესო ის არის, რომ ამ თემაზე საუბარი საპარლამენტო უმრავლესობიდან არავის სურს ხათუნა გოგორიშვილისა და მიხეილ მაჭავარიანის ჩათვლით. არადა, ეს ის ადამიანები არიან, ვინც ყოველთვის იწონებენ თავს რეგლამენტის კარგი ცოდნით.

ამ რეგლამენტის თანახმად კი, კანონის მომზადებასა და მიღებას თავისი წესები აქვს და, თუკი ამ წესებს გადაუხვევ, იმას ნიშნავს, რომ კანონი იურიდიული ძალის მქონედ ვერ ჩაითვლება.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის რეგლამენტი არ იცნობს ისეთ ნორმებს, როგორიც არის განმარტებითი ბარათის დაზუსტება. კანონის მიღების შემდეგ განმარტებითი ბარათი რჩება იმ სახით, როგორც არის მიღებული. პარლამენტის რეგლამენტი ასევე არ იცნობს პროცედურას, თუ რას ნიშნავს განმარტებითი ბარათის დაზუსტება და მით უმეტეს წარმოუდგენელია ასეთი რამ მას შემდეგ, რაც ხდება კანონის მიღება სამივე მოსმენით, მისი გამოქვეყნება და ძალაში შესვლა. ამიტომაც ცხადია, რომ ეს არა მხოლოდ ეწინააღმდეგება რეგლამენტს, არამედ საერთოდ არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთადერთი წარმომადგენელი, ვისაც ამ საკითხზე კომენტარი გააკეთებინეს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიაა და მანაც მხოლოდ ის განაცხადა, რომ „განმარტებით ბარათს რაც შეეხება, ეს არის პოლიტიკური აქტი. თუ ამოიღებთ სხდომის სტენოგრამებს, ნახავთ, რომ სწორედ ამას ვამბობთ. თუმცა, ამით კიდევ ერთხელ ვადასტურებთ იმას, რომ რელიგიურ გაერთიანებებთან არანაირ ქონებრივ ან სხვა ტიპის ვალდებულებებს თუ მართლმადიდებელ ეკლესიასთან გათანაბრებას არ ითვალისწინებს.

პროცედურა, შესაძლოა, რეგლამენტით არ იყოს გათვალისწინებული, მაგრამ ეს არის პოლიტიკური აქტი, ეს არის ბიუროს გადაწყვეტილება და ეს დოკუმენტი იქნება ოფიციალური განმარტებითი ბარათი იმ კანონისა".

შესაძლოა, ეს მართლაც „პოლიტიკური აქტი" იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის არის, მას იურიდიულად რა ძალა ექნება.

პრობლემა კი ის არის, რომ კანონდარღვევით მიღებულ აქტს იურიდიული ძალა არ აქვს, ვინაიდან ამ ფორმას რეგლამენტი საერთოდ არ ითვალისწინებს და იმის განხორციელება, რასაც რეგლამენტი არ იცნობს, რეგლამენტს ეწინააღმდეგება. კანონდარღვევით მიღებულ აქტს კი იურიდიული ძალა არა აქვს.

როგორც ჩანს, პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას არანაირი იურიდიული ძალა არ ექნება და საჭიროების შემთხვევაში მას ვერავინ გამოიყენებს. ამიტომაც ახლა მნიშვნელოვანი ის არის, საპატრიარქოსთან მიღწეული შეთანხმების ამ ფორმით შესრულება თავად საპატრიარქოსთვის რამდენად არის მისაღები.

თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ საპატრიარქოს კომენტარი ჯერჯერობით ვერ მოვისმინეთ და იმედია, ამ თემას უახლოეს პერიოდში გამოეხმაურებიან.

**თეონა ხარაბაძე,**
Presage.tv

თვალსაზრისი

# დასავლეთს სააკაშვილისთვის ყურის აწევაზე უარი აქვს ნათქვამი



„ინტერპრესნიუსი" ესაუბრა პოლიტოლოგ გიორგი მარგველაშვილს

**— ბატონო გიორგი, „ექვსიანმა" პოლიტიკური კოალიცია „თავისუფალი არჩევანი" შექმნა და საზოგადოებას არჩევნებამდე ეროვნული მასშტაბის კამპანია „მახსოვს" დაწყების შესახებ აუწყა, რომელიც „არა მარტო საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების, არამედ სასიცოცხლო სივრცის შეცვლისათვის იბრძოლებს". კოალიციის ერთ-ერთ მთავარ მიზნად უნდა მივიჩნიოთ რესპუბლიკელი დავით უსუფაშვილის განცხადება — „არჩევნებს იგებს მილიონი ამომრჩეველი და არა მილიონი ლარი". თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს კოალიცია ხელისუფლების ალტერნატიულ ძალად ჩამოყალიბებას და საზოგადოების მხარდამჭერის მოპოვებას?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს ფაქტობრივად შეუძლებელია. დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში ამოსავალი უწინარესად არის ის, რომ ადეკვატურად იქნეს გააზრებული ის მდგომარეობა, რომელშიც დღეს ჩვენი სახელმწიფო იმყოფება. დღეს ნამდვილად არა ვართ არც დემოკრატიული სახელმწიფო და არც რბილი ავტორიტარული რეჟიმიც გვყავს. ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც მიდრეკილია თანამედროვე ტოტალიტარული მმართველობის განხორციელებისკენ. მეტიც, სულ უფრო მეტად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ტოტალიტარიზმის ამ ფორმას, ამა თუ იმ ფორმით, საერთაშორისო თანამეგობრობა დაუჭერს მხარს.

შესაძლებელია, საერთაშორისო კონტექსტში დემოკრატიის დღის წესრიგი სიმშვიდისა და სტაბილურობის დღის წესრიგმა გადაფაროს. ამ ვითარებაში, პოლიტიკურ სცენაზე მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიზანი, შესაძლოა, სხვადასხვა იყოს. ჩვენ საბჭოთა კავშირის ტოტალიტალურ რეჟიმში გვიცხოვრია და გვახსოვს, რომ ცხოვრების მიზანი ეროვნული იდენტურობის შენარჩუნება იყო და არა სახელმწიფოს დონეზე ეროვნული ინტერესების გატარება.

თუ კოალიციას მიაჩნია, რომ სახელმწიფოს დონეზე დემოკრატიის განხორციელება რამე ფორმით შესაძლებელია, მაშინ ამოსავალი უნდა იყოს ამ ეტაპზე არა იმდენად ამომრჩეველთან, როგორც თანამედროვე დემოკრატიის სუბიექტთან მუშაობა, არამედ მოქალაქესთან მუშაობა და მისთვის ჩვენება – თუ რა არის ამ ეტაპზე გადასარჩენი ჩვენი სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით. ამ კონტექსტში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის რა ტაქტიკას შეარჩევს კოალიცია. ჩემი აზრით, დღეს მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ იქნება ხელისუფლებაში. ახლა მთავარია, ვინ შეძლებს თვითმყოფადობის და ეროვნული ინტერესების დაცვას. ამის დამცველი დღეს არც დემოკრატიის ფორმით, არც ტოტალიტარიზმის და არც ლიბერალიზმის ფორმით, ქვეყანას აღარა ჰყავს. შესაბამისად, არჩევნებთან დაკავშირებით კოალიციის მიერ გაკეთებული განცხადება აბსოლუტურად ადეკვატურია, მაგრამ ახლა მთავარია, რისთვის არის საჭირო ამომრჩეველთა მხარდაჭერით არჩევნებში მონაწილეობა. თუ კოალიცია ხელისუფლებაში მოვა კიდეც, ეს სულაც არ იქნება იმის გარანტია, რომ ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები გადაწყდება. ახლა მთავარია მოსახლეობის ინფორმირება და მათი რეალურად ჩართვა თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. ჩემთვის მაისის შემდეგ ნათლად დადგა იმის რეალობა, რომ ჩვენ 25 წლის წინანდელ ქვეყანაში დავბრუნდით. მაშინ ჩემთვის მთავარი იყო არა ის, თუ ვინ იქნებოდა კომკავშირის მდივანი, არამედ ის, თუ რამდენად შევძლებდი დავით გარეჯის შენარჩუნებას ანდა ვთქვათ, ქართული ენის დაცვას. მესმის, რომ ჩემი პასუხები შესაძლოა სხვა რეჟიმშია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ემოციურად პროცესებს მე ასე ვხედავ.

**— დავუშვათ, გამართლდა ირაკლი ალასანიას განცხადება და კოალიციამ „სააკაშვილს დაუდასტურა, რომ არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლების შეთავაზებულ პირობებს არ იღებს". რამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გახდება საარჩევნო კანონისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საფუძველი?**

— არ გახდება. რეალობა ის არის, რომ აქამდე საქართველოში დემოკრატიის ადვოკატირებას დასავლეთი ახორციელებდა. მაისის მოვლენებამდეც შეიმჩნეოდა, რომ დასავლეთისთვის უფრო მისაღები იყო სააკაშვილისვე განცხადება – ჯერ სტაბილურობა და მერე დემოკრატია. ფაქტობრივად, დასავლეთმა სააკაშვილის დაიჯერა და მისივე პირობები მიიღო. დასავლეთი აღარ არის საქართველოში დემოკრატიის მაადვოკატირებელი ძალა. ძალა არის თავად ქართველი ხალხი, რომელმაც შეიძლება მოითხოვოს დემოკრატია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართველმა ხალხმა დემოკრატია მოითხოვა, მას არც დასავლეთი და არც რუსეთი მხარს არ დაუჭერენ. სამწუხაროდ, ქართულ დემოკრატიას გარე მოკავშირე აღარა ჰყავს. რეალობაში, როცა ხელისუფლება დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას არც აპირებს და ამ თვალსაზრისით მასზე დასავლეთი ზეწოლას არ ახორციელებს, ძნელი სავარაუდოა, რომ ხელისუფლებამ საზოგადოების მოთხოვნით საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო გარემო გააუჯობესოს.

ხელისუფლება იმავე საგადასახადო კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებით არ თვლის ვალდებულად საზოგადოებასთან დიალოგში შესვლას; როცა ვინმე მის წინაშე საარჩევნო კანონმდებლობისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებს პრინციპულად აყენებს, კონტექსტიდან არის ამოვარდნილი. ასე იმიტომაცაა, რომ დასავლეთს სააკაშვილისთვის ყურის აწევაზე უარი აქვს ნათქვამი. დასავლეთი იმის კონსტატირებით კმაყოფილდება, რომ სომხეთთან, აზერბაიჯანთან და იმავე ყაზახეთთან შედარებით საქართველოში დემოკრატიის თვალსაზისით უკეთესი მდგომარეობაა. როცა დასავლეთი ყურადღებას ამაზე ამახვილებს, ცხადი ხდება, რომ დემოკრატიის თვალსაზრისით დასავლეთს საქართველოში არაფრის შეცვლა არ უნდა. შესაძლოა, უნდა კიდეც, მაგრამ თვლის, რომ ამ ეტაპზე საქართველოში დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებაზე საუბარი არ ღირს. მესმის, რომ კოალიციას შესაძლოა, დასავლეთის იმედი ჰქონდეს, მაგრამ ვწუხვარ, რომ ასეთ მხარდაჭერას დასავლეთისაგან იგი ვერ მიიღებს და არც ხელისუფლება გააკეთებს რამეს საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## დევნილებს ბინებს კახეთსა და სამეგრელოში ჰპირდებიან

**იმ დევნილებს, რომლებსაც საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ და თბილისში სხვადასხვა ობიექტებში უკანონოდ არიან შეჭრილები, სამინისტრო რეგიონებში გარემონტებულ ფართებს საკუთრებაში სთავაზობს, იუწყება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.**

**როგორც სამინისტროდან იტყობინებიან, თბილისში მდებარე 4 შენობაში დევნილები ბოლო 2 წლის მანძილზე შეიჭრნენ და თვითნებურად ცხოვრობენ.**

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, მათ უწყება ფართებს კახეთისა და სამეგრელოს რეგიონებში სთავაზობს.**

**— მით უმეტეს, რომ ამ დევნილთა დიდი ნაწილი ბოლო 2 წლის განმავლობაში სწორედ სამეგრელოდანაა ჩამოსული. დევნილთა ნაწილი კი სახელმწიფოს მხრიდან ერთხელ უკვე დაკმაყოფილებულია და შესაბამისად, მათი ხელმეორედ დაკმაყოფილება ვერ მოხდება. ბინების საკუთრებაში გადაცემის პარალელურად, სამინისტრო დევნილებს ადგილზეც ეხმარება. ურიგებს მათ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, ეხმარება მათ დამუშავებაში და ასევე არსებობს სპეციალური პროექტები, რომელიც დევნილებს ხელს უწყობს საკუთარი შემოსავალი ჰქონდეთ, — აცხადებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.**

ჯი-ეიჩ-ენ

თვალსაზრისი

# დასავლეთს სააკაშვილისთვის ყურის აწევაზე უარი აქვს ნათქვამი

(მესამე გვერდიდან)

**— იმავე ალასანიას განცხადებით, „ახალი ერთობა საზოგადოებაში ბრძოლის ჟინს გააჩენს, მაგრამ არჩევნებამდე პოლიტიკური ბლოკის შექმნა დღის წესრიგში არ დგას“. თქვენი აზრით, ერთიანი პოლიტიკური ბლოკის არარსებობა ხომ არ იქნება იმის საბაბიც და საფუძველიც, რომ საზოგადოებამ კოალიციისადმი ნდობა სრულად არ გამოხატოს?**

— ვფიქრობ, რომ კი. კოალიციაში შემავალი პარტიები ერთმანეთთან თემატურად თანამშრომლობენ. ხელისუფლება სტაბილურობისა და საერთაშორისო მხარდაჭერის კარტს ათამაშებს, ოპოზიცია კი დემოკრატიისა და ქართული ინტერესების დაცვას ანიჭებს უპირატესობას. ასეთ ვითარებაში, ოპოზიციის „მემარჯვენეებად“, „მემარცხენეებად“ ანდა ცენტრისტებად დაყოფა აბსურდულად ჟღერს. თუ ოპოზიცია იდეოლოგიურად გაერთიანებას შეძლებს, ეს ამომრჩეველს საქმეს გაუიოლებს და მოქალაქეებს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის, თუ



ვის გვერდით უნდა დადგნენ. „რვიანის“ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მასში გაერთიანებულ პოლიტიკურ სუბიექტებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ენერგეტიკისა და განათლების რეფორმაზე და ამის გამო დაიშალნენ. ამიტომ, კოალიციის წარმოდგენილი სახით გაერთიანება მე ლოგიკურად მიმაჩნია და თუ ამ გაერთიანების ლიდერი ალასანია იქნება, ეს იმავე დასავლეთისთვის ძალიან კარგი მესიჯი იქნება. მაგრამ, რასაც მე ვუყურებ, კოალიციაში გაერთიანებულ პარტიებს იმედი აქვთ, რომ ისინი არჩევნებში ცალ-ცალკე გავლენ და ჩვენთან ისეთივე არჩევნები გაიმართება, როგორც — შვეიცარიაში. მრჩება შთაბეჭდილება, რომ კოალიცია რეალობას მოწყვეტილია.

**— გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, რომ „უსისხლო რევოლუცია იწყება“. გასაგებია, რომ ჯერ ადრეა საუბარი იმაზე, თუ რამდენად ჩათვლის საზოგადოება „თავისუფალ არჩევანს“ ხელისუფლების ალტერნატიულ ძალად, მაგრამ უკვე შეიძლება კითხვის ასე დასმაც — კოალიციის აქტიურობის შედეგად რამდენად სავარაუდოა საქართველოში ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა, რაც პრაქტიკულად „უსისხლო რევოლუციის“ ტოლფასი იქნება?**

— მთავარი მიზანი რეალობის ადეკვატურ აღქმაშია. თუ კოალიცია ხალხს პირდაპირ ეტყვის, თუ რა რეალობაშია ქვეყანა, შესაძლოა, მოქალაქეთა გააქტიურებამ სურათი მნიშვნელოვნად შეცვალოს. თუ კოალიცია იდეოლოგიური ნიშნით გაერთიანდა და ისინი შეძლებენ საზოგადოების იმაში დარწმუნებას, რომ ისინი რეალურად ახალ საქართველოს ქმნიან, ეს ის რესურსია, რითაც მათ შეუძლიათ კონკრეტული შედეგის მიღწევა. სხვა თვალსაზრისით ხელისუფლებას არჩევნების მოსაგებად სრული კარტბლანში აქვს. ეს ეხება დასავლეთის მხარდაჭერას, ფინანსებს და არჩევნების მენეჯმენტს. რასაც დღეს ვაკვირდები, სრული სიმშვიდეა და ასე გაგრძელდება კიდეც. ჯერჯერობით, საქართველოში „უსისხლო რევოლუციის“ წინაპირობას ვერ ვხედავ.

**— საპატრიარქოსა და პარლამენტს შორის დაპირისპირებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ვითარებაში, როცა თავად საპატრიარქო არ იყო წინააღმდეგი სხვადასხვა კონფესიებისათვის იურიდიული სტატუსის განსაზღვრისა, გაუგებარია, რატომ დასჭირდა ხელისუფლებას უკვე მიღებულ კანონში საპატრიარქოს პოზიციის გაუთვალისწინებლობა და, ნებსით თუ უნებლიეთ, საპატრიარქოსადმი უპატივცემულობის საჯაროდ დემონსტრირება?**

— ჩემი აზრით, საკითხი იმაში კი არაა, თუ რა სტატუსი ექნება რომელიმე კონფესიას ან რა იურიდიული სტატუსია ადეკვატური ამა თუ იმ კონფესიისათვის. ეს სულაც არ არის პრობლემა. პრობლემა ის არის, გვაქვს თუ არა ჩვენ იმის თავი, რომ საკუთარ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები თავად გადავწყვიტოთ. გვაქვს თუ არა ჩვენ, როგორც სახელმწიფოს და საზოგადოებას, ამაზე მსჯელობისა და ასეთ მნიშვნელოვან თემებზე კონსენსურად შეთანხმების მიღწევის უნარი.

სამწუხაროდ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ხელისუფლებას მარტო კონსენსუსის მიღწევის ნების არქონა კი არა, სხვა პრობლემებიც აქვს. არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენი ხელისუფლება იმდენად დიდი პრესის ქვეშაა, რომ მათ წინააღმდეგობის გაწევა გარკვეული შიშის გამოც ვერ შეძლეს. არ ვიცი, ისინი ვისგან არიან პრესის ქვეშ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათ საპატრიარქოსთან დაპირისპირება არ სურდათ. როცა ასე სწრაფად წყვეტ საკითხს და თანაც საპატრიარქოს იმხედრებ, ჩნდება კითხვა — რატომ?

რატომ გახდა პრობლემატური ჩვენი ტოლერანტობისა და მართლმადიდებლობის გაფრთხილება? ხომ შეიძლებოდა ამ საკითხის საჯაროდ განხილვა და საზოგადოებრივი თანხმობით კონსენსუსის მიღწევა? ჩემი აზრით, ხელისუფლებას არანაირად არ სურდა საპატრიარქოსთან დაპირისპირება, მაგრამ უფრო სერიოზული მოთხოვნის შიშით გადადგა ის ნაბიჯები, რომელიც კანონის დაჩქარებული წესით მიღებას ითვალისწინებდა. ეს ჩვენ გვგონია, რომ სააკაშვილი საქართველოს ტოტალიტარული მმართველია, მაგრამ როცა ისეთი პატარა ქვეყანა როგორიც საქართველოა, მმართველობის ტოტალიტარულ სისტემას ინარჩუნებს, უნდა ვხვდებოდეთ, რომ მას სხვა პატრონი ჰყავს. შეიძლება ბევრი პატრონი გყავდეს, შეიძლება ერთი, მაგრამ შენ გიწევს შენივე ტოტალიტარიზმის დაბალანსება, ეკონომიკურად, სამხედრო თვალსაზრისით. ეტყობა, კონფესიებთან დაკავშირებული კანონის მიღებისას მას სხვა გზა არც ჰქონდა. ფაქტია, რომ სააკაშვილი დემეტრე თავდადებული არაა, რომ ურდოში წასულიყო და ქვეყნის ინტერესებისთვის თავი დაედო.

**კობა ბენდელიანი**

სტრატეგია

**— ქალბატონო ხათუნა, სამიოდე თვის წინათ, თქვენ გამოთქვით მოსაზრება, რომ კიბერთავდასხმითი სტრატეგია რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. გამოვლინდა თუ არა რუსეთის აგრესიული ინფორმაციული კიბერპოლიტიკის ნიშნები ამ ბოლო სამი თვის განმავლობაში?**

— სულ რაღაც ორიოდე თვის წინათ, არსებულმა კიბერაქტივობებმა, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ რუსეთის კიბერთავდასხმითი პოლიტიკა არსებული რეჟიმის პირობებში აქტიურ ფაზაშია. კიბერთავდასხმითი ქმედების წარმომავლობის დადგენა ტექნიკურად რთული ამოცანაა, შესაბამისად, ამ შესაძლებლობას რუსეთის მთავრობა აქტიურად იყენებს და გამოიყენებს კიდეც როგორც საგარეო არენაზე, ასევე ქვეყნის შიგნითაც. დაახლოებით ორი თვის წინ Live Journal-ზე (რუსეთში პოპულარული სოციალური ქსელი, რომელიც ხელისუფლების კრიტიკით გამოირჩევაძ და NovayaGazeta-ზე (ოპოზიციური გაზეთიძ განხორციელდა DDoS შეტევა. თავდაპირველი სამიზნე იყო Live Journal-ის მთავარი გვერდი და ალექსეი ნავალნის ბლოგი, რომელიც ძირითადად, რუსეთის მაღალი რანგის ჩინოვნიკების კორუფციულ გარიგებებზეა კონცენტრირებული. ამ მასშტაბური კიბერშეტევის მსხვერპლი ასევე გახდა ნავალნის მეორე ბლოგგვერდი Rospil.Info, სადაც მას სააშკარაოზე გამოაქვს სამთავრობო შესყიდვებთან მიმართებაში ჩინოვნიკების მიერ განხორციელებული არალეგალური ქმედებები.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ „სახალხო თავისუფლების პარტიის“ ინიცირებით, Live Journal-ზე განხორციელდა ახალი პროექტის ჩაშვება „ონლაინ პარლამენტი რუნეტზე“. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შეტევამდე ამავე პარტიის ინიცირებით Live Journal-ზე გამოქვეყნდა ახალი ანგარიში — „პუტინი. კორუფცია“.

კასპერსკის ლაბორატორიიდან გაკეთდა ოფიციალური განცხადება, რომ ბოტნეტები, რომელიც გამოყენებული იყო ამ შეტევების განსახორციელებლად, ასოცირდებოდა რუსულ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან. რთული არ არის გაანალიზო, რომ რუსეთის მთავრობა მოქმედებდა რუსეთის ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად.

სანამ რუსეთის ოპოზიციის ინტერნეტსივრცეზე განხორციელდებოდა ბოტნეტ შეტევები, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის კიბერნეტიკული ცენტრის თავკაცმა ანდრეი ჩკინმა საჯაროდ განაცხადა skype-სა და სხვა ელექტრონული ფოსტის მომსახურების ბლოკირების აუცილებლობაზე, მიზეზად კი მათზე კონტროლის, მონიტორინგის სირთულე დაასახელა.

სოციალური მედია, გაუშიფრავი სერვისები, დიდ თავსატეხს წარმოადგენს რუსეთის უსაფრთხოების სტრუქტურებისთვის, რომელიც ისტერიულ განცხადებებსა და აგრესიულ ქმედებებში ვლინდება. პარანოიდული შიშები კი იქაურ ძალოვნებს განსაკუთრებით არაბულ სამყაროში მიმდინარე პროცესების შემდგომ გაუმძაფრდათ, რადგანაც იქ სწორედ სოციალური ქსელის მეშვეობით განხორციელდა საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე რუსეთმა რამდენჯერმე წარადგინა თავისი წინადადებები კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომელიც სწორედ ინტერნეტთავისუფლებას, ინტერნეტმედიას და სოციალური ქსელებიდან მომდინარე საფრთხეებს ეხება. რას ითვალისწინებს ეს ინიციატივა?**

— რუსეთი არ შეუერთდა ევროპის საბჭოს კონვენციას კიბერდანაშაულის შესახებ, ერთადერთ ეფექტურ დოკუმენტს, რომელიც ხელმოწერისთვის 2001 წლიდან ღიაა. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ რუსეთს სურს, რომ მხოლოდ მას ჰქონდეს უფლება, მოქმედი ადგილობრივი კანონებითა და პროცედურებით საგამოძიებო მოქმედებების წარმოებაზე.

ამის პარალელურად, რუსეთი ცდილობს, ვითომდა კიბერთავდასხმების თავიდან ასაცილებლად, მისთვის ხელსაყრელი შეთანხმების მიღწევას. მოსკოვს თავად გააჩნია საკუთარი სახელშეკრულებო შეთავაზება. იგი ცდილობდა და დღემდე ცდილობს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ მიღებული ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მსგავსი შეთანხმების მიღწევას. ამ ხელშეკრულების

## კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეების სრული აცილება რთული ამოცანაა არა მარტო ჩვენთვის...



საქართველოს წინაშე არსებულ კიბერნეტიკულ საფრთხეებზე „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის უფროს მკვლევარს **ხათუნა მშვიდობაძეს** ესაუბრა.

თანახმად, უკანონოდ მიიჩნეოდა მასმედიის ან ინტერნეტის მეშვეობით ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც განსხვავებული, არახელსაყრელი იქნებოდა სამთავრობო პოლიტიკისგან და რომელიც „პოლიტიკური სისტემის, სოციალური წყობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური პროცესების, მოქალაქეების სულიერი, მორალური და კულტურული ღირებულებების შეცვლას“ შეუწყობდა ხელს. შეთანხმების თანახმად, სახელმწიფოებს უნდა მოეხდინათ „ინფორმაციაზე მონიტორინგი“ და ცენზურა „უსაფრთხოებისა და სტაბილურობის“ უზრუნველსაყოფად.

ყოველწლიურად, 1998 წლიდან, რუსეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოდიოდა მისთვის ხელსაყრელი მორიგი ინიციატივით, „საინფორმაციო ტერორიზმის“ წინააღმდეგ საბრძოლველად საერთაშორისო შეთანხმებისთვის მიელწია. გაეროს განიარაღების კომიტეტზე 2008 წელს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი სერგეი კოროტკოვი ამტკიცებდა, რომ „ყოველთვის, როდესაც მთავრობები ხელს უწყობენ სხვა ქვეყნის მთავრობების შეცვლასთან დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრებების გავრცელებას ინტერნეტის საშუალებით, თუნდაც დემოკრატიული რეფორმების სახელით, უნდა შეფასდეს, როგორც აგრესია. ეს საერთაშორისო შეთანხმება კი არალეგალურს გახდის ამგვარ ქმედებებს“. ამგვარი ინიციატივების გატანა მსგავსი ქვეყნებისთვის ცხადია, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რომ შემდგომ კრიმინალური თუ არადემოკრატიული ქმედებები საერთაშორისო სამართლის ნორმებს მოარგონ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიუნხენის 47-ე უსაფრთხოების კონფერენციაზე, რომელიც ამა წლის თებერვალში გაიმართა, სამწუხაროდ დიდი ყურადღება დაეთმო კიბერომთან მიმართებაში „ჟენევისა და ჰააგის ტიპის კონვენციის“ შექმნის აუცილებლობას, რომლის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორიც რუსეთი გახლდათ. ამ საკითხთან მიმართებაში უამრავი კრიტიკული პუბლიკაციები დაიწერა დასავლურ პრესაში იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დაეთმო ამდენი დრო ისეთ ინიციატივას, რომელიც ფაქტიურად ვერანაირ შედეგს ვერ მოიტანს ამ პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით.

ექსპერტების მოსაზრებით, რადგანაც რთულია კიბერსივრცეში დამნაშავეების დადგენა და რიგ შემთხვევებში შეუძლებელიც, სრულიად გაუგებარია, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ომის წესების დადგენა და ვინ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო სამართლებრივი შეზღუდვები კიბერთავდასხმების დროს. ამგვარი ინიციატივებით არის დაკავებული საგარეო ასპარეზზე რუსეთის ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ იმას ემსახურება თუ როგორ შეფუთონ თავიანთი მიზნები და ქმედებები საერთაშორისო ნორმებით.

**— როგორ შეიძლება რუსეთის მხრიდან კიბერშემოტევებისგან თავის დაცვა და რას აკეთებს ქართული მხარე იმისათვის, რომ ქვეყანა ამისგან დაცული იყოს?**

— შეიქმნა კომპიუტერულ საფრთხეებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი. ეროვნული უსაფრთხოების ახალ კონცეფციაში კიბერსაფრთხეებს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა. ტარდება საერთაშორისო კონფერენციები, რომელიც უდავოდ მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის კუთხით. ივლისის დასაწყისში, თბილისში ასევე გაიმართება მორიგი მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია ამ მიმართულებით.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იგეგმება საგანმანათლებლო პროგრამები ტრენინგები, კურსები, სემინარები, კიბერსაფრთხეებზე ცნობადობის ამაღლების კამპანიის წარმოება საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის საფუძველზე. ვფიქრობ, რომ იმ რესურსებიდან გამომდინარე, რაც ჩვენ დღეს გაგვაჩნია, კეთდება ყველაფერი. უფრო დეტალური ინფორმაციისათვის თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, რომელიც ამ კითხვაზე უფრო სრულ პასუხს მოგაწვდით. მინდა აღვნიშნო, რომ კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეების სრული აცილება რთული ამოცანაა, არა მარტო ჩვენთვის, არამედ ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი. სულ ახლახან განხორციელდა მასშტაბური კიბერთავდასხმები ამერიკის ისეთ უმსხვილეს კომპანიებზე როგორებიცაა, Lockheed Martin და Boeing, სულ ახლახან მოხდა კიბერთავდასხმა ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროზე.

კიბერთავდასხმა არის ასიმეტრიული ბრძოლის ფორმა, სადაც მოწინააღმდეგე არ იცი საიდან, როდის, რა ხერხით და რა მიზნით გესხმის თავს. ამისთვის თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდა, არსებული რესურსის მობილიზება, ყოველდღიური 24-საათიანი მონიტორინგი და თვალყურის დევნებაა საჭირო, რომ მაქსიმალურად იყოს შესაძლებელი კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილება, შეკავება და დროული ზომების მიღება.

**იოსებ იმედაძე**

№ 134. სამშაბათი, 19 ივლისი, 2011 წელი.

გული გულობდეს, თორემ...

# ბიუჯეტის შევსება ნაგვითაც შეიძლება!

## უგულავამ სააკაშვილისგან დამოუკიდებლად საკუთარი ყულაბა გაიკეთა

**დღევანდელი ცხოვრების გადასახედიდან რომ შევხედავ ხოლმე კომუნისტური რეჟიმის თავკაცთა ნამოღვაწარს, ისინი სულ უფრო და უფრო მიამიტებად და გულუბრყვილოებად მეჩვენება. მშვენივრად ვიცი, ღმერთი არ სწამდათ და ვერ გამიგია, სხვა ვინ ავალებდათ ქვეყნის მსხვილ-მსხვილი ფაბრიკა-ქარხნებით გაძეძგვას, ქალაქად და სოფლად ქუდზე კაცის დასაქმებას, უფასო სწავლებისა და სამედიცინო მომსახურების დაწესებას, მოხუცებულთა გარანტირებულ საპენსიო უზრუნველყოფას, სხვა უამრავ სიკეთე-შემწეობას.**

აი ნახეთ, ბატონო კომუნისტებო (და შურით აღივსეთ!), ჩვენმა ერთი შეხედვით გამოუცდელმა და არაპროფესიონალმა „ნაცებმა“ როგორი სილაღითა და სიანცით (ზოგის აზრით, ქვეყნისა და ხალხის ერთ ადგილზე დაკიდებითაც) მიაღწიეს მთელ ცივილიზებულ სამყაროში საქართველოს უპირველეს დემოკრატიულ და რეფორმატორულ სახელმწიფოდ აღიარებას, ეკონომიკის თანმიმდევრულ, მდგრად განვითარებას, განათლებისა და მეცნიერების შეუქცევად აღმავლობას, ადამიანთა დაუსაქმებლობისა და სიღატაკის დღემდე არნახულ სიმაღლეს.

ჰოდა, ამის შემხედვარეს, სულაც არ მიკვირს, რომ თბილისის თავკაცად მოვლენილმა გიგი უგულავამ, რომელმაც დედაქალაქის საზღვრები გუდაურამდე გასწია, არ დაიზარა და დღემდე ყველასთვის მოუხელთებელი ნაგვის პრობლემა ერთი ხელის მოსმით გადაჭრა. თანაც არაერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნა, რომ ქალაქის ბიუჯეტის შესავსებად სულაც არ არის საჭირო ახალ-ახალი საწარმოების გახსნა, ათეულ-ათასობით ადამიანთა ჭაპანწყვეტა, კონკურენტული პროდუქტის შესაქმნელად ნოვატორ ბიზნესმენთა ტვინის ჭყლეტა. საამისოდ არის ნაგავი, რომლის შექმნაზე ადამიანური რესურსები და ფინანსები არ იხარჯება, ბიუჯეტში ფული კი გამოულევლად გროვდება და გროვდება(!).

დაუზარელმა უგულავამ მერიის ბიუჯეტის შევსების დამოუკიდებელ „საბადოს“ მიაგნო (დღემდე ქალაქის ბიუჯეტს ქვეყნის ბიუჯეტი აფინანსებდა) და ხელიდან როგორღა გაუშვებდა? აკი არც გაუშვა, **მან სააკაშვილისგან დამოუკიდებლად, საკუთარი ყულაბა გაიკეთა და დაიწყო ნაგვის რეალიზაციიდან ფულის შეგროვება, რაც მარტივად იმას ნიშნავს, რომ პირველი ივლისიდან დედაქალაქში დაგვა-დასუფთავების მომსახურების ახალი ტარიფი ამოქმედდა. ამიერიდან თბილისის მოსახლეობას თბილისის დასუფთავების გადასახადის გადახდა გახარჯული ელექტროენერგიის პროპორციულად მოუწევს.**

ამ გადაწყვეტილებამ მოსახლეობაში დიდი გაუგებრობა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბევრს გაუჩნდა კითხვა: მერიამ რატომ მიაბა ნაგავი მაინცდამაინც ელექტროენერგიას, ისინი ხომ აქამდეც „ძმაკაცობდნენ“ (ნაგვის გადასახადს თუ არ გადაიხდიდი, დენს გამოგირთავდნენ) და უერთმანეთოდ ლუკმას არ ყლაპავდნენ. გიგი უგულავამ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ხალხს ასეთი კითხვა დაებადებოდა და მერიის გადაწყვეტილების სისწორისა და გონივრულობის დასასაბუთებლად წინასწარ საგულდაგულოდ მოემზადა.

– სულადობის მიხედვით დასუფთავების გადასახადმა რომ არ გაამართლა, ამაში ყველა დარწმუნდა, – განაცხადა ქალაქის თავკაცმა ტელევიზიით გამოსვლისას, – ბინაში ხშირად 5-6 ადამიანია ჩაწერილი, ფაქტობრივად კი 2 კაცი ცხოვრობს და ტყუილუბრალოდ უწევთ დიდი თანხის გადახდა. გვინდოდა, ბინის ფართობიდან გამომდინარე, დაგვეწესებინა გადასახადი, მაგრამ ამ შემთხვევაში ახლა ის ხალხი დაგვეჩაგრებოდა, რომლებსაც ბინა მიტოვებული აქვთ და საზღვარგარეთ არიან წასული ლუკმაპურის საშოვნელად. ამიტომ არჩევანი შევაჩერეთ ყველაზე გარანტირებულ ძარღვზე – ელექტროენერგიაზე. ოჯახი თუ ხარჯავს დენს და იხდის ფულს, ის შესაბამისად დასუფთავების მომსახურებისასაც გადაიხდის.

როგორ მოგწონთ ქალაქის მერის ლოგიკა, ბატონებო, დიდებულია, არა? დიდი დაკვირვებისა და ანალიზური გაანგარიშების შემდეგ უგულავამ გამოძებნა ასეთი ბერკეტი, რომელიც მდიდრებსაც მოერგებოდა და ღარიბებსაც, გაზულუქებულ სახელმწიფო მოხელეებსაც და სოციალურად დაუცველ ადამიანებსაც. ვისაც ფული ტომრებით აქვს და დენს აუწონ-დაუზოგავად ხარჯავს, მან კეთილი ინებოს და ნაგვისაც მეტი გადაიხადოს. ამ შემთხვევაში ხელმოკლედ მაცხოვრებელიც არ დარჩება წაგებული, თუ ის რა თქმა უნდა, ელექტროენერგიას მოუფრთხილდება და ნაგვის გატანაში ზედმეტ ფულს არ გადაყრის.

ხედავთ, რა ოსტატურად მოერგო მერიის გადაწყვეტილება როგორც მდიდარი ისე ღარიბი მოსახლეობის ინტერესებს? პირდაპირ გადასარევია, მაგრამ მოსახლეობის ინტერესების გამოდევნებაში თავად მერია ხომ არ დარჩა წაგებული? თქვენ როგორც ფიქრობთ, ბატონი გიგი ახალგაზრდა კია, მაგრამ იმდენად გამოუცდელია, რომ სხვები ახეიროს და თავად იზარალოს?! არავითარ შემთხვევაში, მერიას სანანებლად ისიც ეყოფა, რომ დედაქალაქში მაღალი მიგრაციის გამო მოსახლეობის ოფიციალური რეგისტრაციის მაჩვენებელი ფაქტობრივ მდგომარეობას არ შეესაბამება და მას (მერიას) თურმე ბევრად უფრო მეტი ნაგვის გატანა უწევდა, ვიდრე სულადობის მიხედვით ამ მომსახურების გადასახადია. სწორედ ამან აიძულა ქალაქის მუნიციპალიტეტი დამატებითი თანხების მოსაზიდად და ადგილობრივი ბიუჯეტის შესავსებად ნაგვის ტარიფი გაეზარდა. სიმართლე თუ გნებავთ, ეს არის და არა ის, რომ თბილისის მერს ღარიბ-ღატაკ მოსახლეობაზე ზრუნვით თმები გაუჭაღარავდა(!?).

ხედავთ, როცა დასჭირდა მერიას, რამხელა „ღლავს“ ჩაავლო ხელი საკუთარი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად? მიგრაციის გამო მოსახლეობის ოფიციალური რეგისტრაციის მაჩვენებელი ფაქტობრივ მდგომარეობას არ შეესაბამებოდა და გადასახადების აკრეფისას ვზარალდებოდითო, – ცდილობს თავი შეგვაცოდოს უგულავამ. **აკი იგივე უგულავა ქალაქის მერის არჩევნების წინ გვიმტკიცებდა, საარჩევნო სიები ზუსტია და არავითარ ცვლილებას არ საჭიროებსო? სად უნდა ვეძებოთ სიმართლე და ლოგიკა ქალაქის თავკაცის წინასაარჩევნო განცხადებაში თუ ნაგვის გადასახადის ელექტროენერგიასთან მიწებებაში? არც ერთში და არც მეორეში. ამ შემთხვევაში ლოგიკა გაცილებით მარტივი და ხელშესახებია – მერიამ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უსუფთაო და აყროლებული ნაგვის გადასახადიდან ბიუჯეტში დამატებით სუფთა 10-12 მილიონ ლარს დაათრევინებს!**

ეს მერიას, მაგრამ რას დაათრევინებს იგივე გადაწყვეტილება მოსახლეობას? მას ძვალი და ტყავიღა შემორჩა მთელი და ალბათ ამასაც დააკარგვინებს. გაუგებარია, თუ ოჯახში ცხოვრობს ორი სული და ზაფხულში გასაგრილებლად კონდიციონერებს იყენებს, რატომ უნდა გადაიხადოს მან დასუფთავების გადასახადი დახარჯული ელექტროენერგიის მიხედვით? ექსპერტების აზრით, ელექტროენერგიის მოხმარების დონით არ დგინდება ღარიბი ხარ თუ მდიდარი. პირიქით, მეტ ენერგიას სწორედ ის ოჯახები მოიხმარენ, რომლებსაც უჭირთ დენისა და გაზის დანახარჯის გაღება. მათ წლიდან წლამდე ზამთარში თავი იმით გააქვთ, რომ ხანდახან დენის ქურას რთავენ, რათა ბავშვები არ გაეყინოთ. ახლა კი მათ ამისთვის დამატებით ნაგვის გადასახადის გადახდაც მოუწევთ. **„ეს ცვლილება – 1 კვტსაათ ელექტროენერგიაზე 0,05 ლარი, – ამბობს ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე, – პირდაპირ აისახება იმ კატეგორიაზე, რომელიც 13-თეთრიან ტარიფს იხდის. გამოდის, რომ მას გადასახადი 40 პროცენტით ეზრდება. ადამიანს რაც უფრო დაბალი გადასახადი აქვს, ელექტროენერგიასაც ნაკლებს ხარჯავს, თუმცა, ამის მიუხედავად, ტარიფი მაინც უძვირდება“.**

ეს არ სურს დაინახოს თბილისის ხელისუფლებამ, რომელიც დღემდე თვითონაც ვერ გარკვეულა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ტარიფია თუ მოსაკრებელი(!?). არც იმის გაგება ეპიტნავება, აღიაროს, რომ ეს გაძვირებული ტარიფი თუ მოსაკრებელი სოციალურად დაუცველ მოსახლეობას არამარტო შინ, გარეთაც – ბაზრებსა და მაღაზიებში, ვაგზლებსა და აეროპორტებში, სკოლებსა თუ ბაგა-ბაღებშიც, – უძვირებს ცხოვრებას. **რა თქმა უნდა, სასურსათო მაღაზიაში 1 კვადრატულ მეტრზე დასუფთავების საფასურად 95 თეთრს რომ დაუწესებ და აგრარული ბაზრის მფლობელი გამყიდველს დახლის იჯარას გაუძვირებს, თავის მხრივ გამყიდველიც გააძვირებს გასაყიდად გამოტანილ პროდუქტს, აბა რას იზამს? მერე ვინ იყიდის ამ პროდუქტს, არ იკითხავთ? ისევ ის, ვინც ნაგვის გადასახადს გახარჯული დენის მიხედვით იხდის!**

ვფიქრობ, მხოლოდ ტარიფების გაზრდა პრობლემას ვერ მოხსნის, თუ ხელისუფლებამ არ დანერგა უტილიზაციის სისტემა, რომელიც ნაგვის არა მხოლოდ მოშორებას, მის გადამუშავებასაც გულისხმობს. ის იძლევა მეორად ნედლეულს, რომელიც შეიძლება გაიყიდოს და დარგმაც წაგებას თავი დააღწიოს. უფრო მეტიც, დღეს ბევრ ქვეყანაში ნარჩენებს მოსახლეობისგან ყიდულობენ, გადაამუშავებენ და დარგს ამ გზით ანვითარებენ.

ჩვენთან მოსახლეობისგან ნაგვის შესყიდვაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ აქ არსებული მდიდარი სადამსუფთავებლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, არც ისე შორია იმ დრომდე, როცა გონსმოსული თბილისის მერია გაძვირებულტარიფიან ნაგავს მოსახლეობას უკანვე მიჰყიდის. აბა როგორ, აყროლებული ნაგვის გულისთვის თავს ზარალში ხომ არ ჩაიგდებს!

**ოთარ ხუციშვილი**



წკეპლიკა

# მხსნელიცა და გამხსნელიც...

ჩვენმა პრეზიდენტმა, ჩვენმა მამამ, მარჩენალმა და მხსნელმა (ხო აზრზე ხართ, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რომ იმის მეტოქეს გაემარჯვა, საქართველოს რა ელოდა?..), „შეთავსებით“, მთლად გაპიარებულმა, ამ დღეებში 12-სართულიანი და 200-საწოლიანი ახალი საავადმყოფო გახსნა.

12 სართულსაც გაუმარჯოს, 200 საწოლსაც და იქაურ სამედიცინო პერსონალსაც, სადაც ექიმები ნიჭითა თუ უნარით არც ევროპელ მკურნალებს ჩამოუვარდებიან, არც ამერიკელს (ქვეყნის უმაღლესი პირის შეფასებით).

აქ მე კალამწაწყმედილს სხვა რამ მაფიქრებს: რასაა, ეს ჩვენი პრეზიდენტი რომ ამდენ რამეს ხსნის და ხსნის, პრაქტიკულად ყველაფერს; რა, გომბორის გზატკეცილს გზათა მინისტრი არ ეყოფოდა გამხსნელად? საჯარო სკოლას ლამაზბლანჟეიანი და ტელეეკრანს აგრე გაშინაურებული განათლების მინისტრი ვერ გახსნიდა? ბათუმში ფეშენებელური ოტელის წინ გაჭიმულ წითელ ლენტს ეკონომიკის მინისტრი (მზარდ განვითარებას რომ ამჯერად შევეშვათ) ნაზი ხელებით ვერ გადაჭრიდა? ან და ხსენებულ 12-სართულიანსა და 200-საწოლიანს, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი (26 მაისს რომ ასე ისახელა თავი) ვერ მიხედავდა?..

სხვა საქმეა, თუ ბატონი მიხეილი თავის დაკარგულ კოდორის ხეობასა და ახალგორის რაიონს დაიბრუნებს და ე, იქ მიმავალ გზებს გახსნის. პრეზიდენტს ეს მოუხდება...

მანამდე კი ვაითუ „გახსნაობით“ აღტაცებული მიხეილ-ბატონი ჯეკ-პოტის რომელიმე ახალ ჯიხურს მიადგეს გასახსნელად; ან ერთ მშვენიერ (ან მოღრუბლულ) დღესაც, თუნდაც იმ ახალგახსნილ საავადმყოფოში, მიაკითხოს რომელიმე კუჭში შეკრულ სნეულს... ისევ გასახსნელად; თუმცა ამ შემთხვევაში ნამდვილად კეთილ საქმეს ჩაიდენს...

**რამაზ გორგაძე**

ინფორმაცია

## ღორის ხორცის იმპორტი და ზესახელმწიფოთა პოლიტიკა




**აშშ-სა და რუსეთს ვმო-ში რუსეთის გაწევრებაზე მოლაპარაკებები არ დაუსრულებიათ, რადგანაც მხარეებს შორის ამ დროისათვის ღორის ხორცის იმპორტის თემაა შესათანხმებელი.**

**რუსეთის ეკონომიკის მინისტრის ელვირა ნაბიულინას განცხადებით, რუსეთმა და აშშ-მა მოახერხეს, რომ მოლაპარაკებების პროცესში წინ წასულიყო.**

**– ახლოს ვართ ამერიკელებთან საერთო თანხმობის მიღწევაში, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ იმოქმედებს ეს რეჟიმი და როგორ იქნება ფორმირებული ვმო-ს ნორმებთან შესაბამისობაში, – განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა.**

**მხარეებს შორის ასევე განიხილება გარდამავალ პერიოდში, საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე, სამრეწველო მოსაკრების საკითხიც.**

ჯი-ეიჩ-ენი

**საქართველოს მიერ აფხაზეთის აღიარების საკითხზე, რომლის იდეაც ამას წინათ ექსპერტმა მამუკა არეშიძემ გააჟღერა, საინტერესო სტატია გამოქვეყნდა „Forum.msk.ru"-ზე. ვფიქრობ, საჭიროა, რომ ქართველი საზოგადოება გაეცნოს მას და სათანადო დასკვნები გააკეთოს თავისი კითხვის ნიშნის ქვეშ მდგარი მომავლის გადასარჩენად. გთავაზობთ სტატიას, ბოლოში დართული ჩემი მცირე კომენტარით.**

საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობათა პერსპექტივის გარშემო დისკუსიის გამოზომილობამ და მოდუნებულმა მიმდინარეობამ ააფეთქა ქართველი პოლიტოლოგის მამუკა არეშიძის გამონათქვამი საქართველოსთვის აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების აუცილებლობის შესახებ. მას მიაჩნია, რომ კონფლიქტის მოწესრიგების ყველაზე გონივრული ვარიანტია – აფხაზეთის პოლიტიკური აღიარება მკაცრი პირობების სანაცვლოდ: ლტოლვილთა დაბრუნება და რუსეთის ჯარების გაყვანა. აიო, ეს არის ერთადერთი გამოსავალი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ აფხაზეთისთვისაც. ამ უკანასკნელს ეს გადაარჩენს გარდაუვალი რუსიფიკაციისგან და აფხაზი ერის, როგორც ასეთის, გაქრობისგანო. უნდა ითქვას, რომ არეშიძის პოზიციამ გაცილებით უფრო დიდი დისკუსია გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. თუ, რასაკვირველია, დისკუსიას ვუწოდებთ ქართველ პოლიტოლოგზე თავდასხმების გრიგალს უგუნურობისა და არასაკმარისი პატრიოტიზმის ბრალდებიდან დაწყებული და დამთავრებული მოწოდებებით – გასამართლდეს არეშიძე, როგორც სამშობლოს მოღალატე. აფხაზეთის საზოგადოებაში ინიციატივაზე დუნე რეაგირება მოხდა: აფხაზებისთვის იგივე ორი მკაცრი პირობა არანაკლებ მიუღებელია, ვიდრე ქართველებისთვის თავიანთი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის განხილვა.

პოლიტოლოგები უფრო მეტად დაფიქრდნენ არა არეშიძის იდეების პერსპექტივებზე, არამედ იმაზე, თუ რით არის ნაკარნახევი თავად ის ფაქტი, რომ დაირღვა მრავალწლიანი ტაბუ, საჯაროდ პირველად წამოჭრილი თემა, რომლის განხილვისთვისაც ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მრავალი წლის განმავლობაში არ იქნებიან მზად. რა არის ეს სინამდვილეში: დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან გონიერების პირველი ჯერ კიდევ სუსტი გამოძახილი აღვირახსნილი „პატრიოტიზმისა", რომელიც ესაზღვრება ნაციონალიზმს, რაც კვლავ დომინირებს ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში? თუ ზოგიერთი გარეშე ძალის მცდელობა მოსინჯონ ნიადაგი – დაესვას ბოლოს და ბოლოს წერტილი 20-წლიან კონფლიქტს და დაკმაყოფილდეს ორივე მხარე? კონსპიროლოგიაში რომ არ გადავიჭრათ, გვინდოდა განგვეხილა ამ, თითქოსდა ფანტასტიური სცენარის პერსპექტივები და რით ემუქრება მისი რეალიზაცია არა მხოლოდ კონფლიქტის მონაწილეებს, არამედ გარეშე მოთამაშეებსაც.

დასაწყისისთვის მოდით განვიხილოთ, თუ რას მისცემს მსოფლიოს აფხაზეთის აღიარება. **პირველი და უპირობო: სეპარატიზმზე უფლების ლეგალიზაცია.** თავის დროზე კოსოვოს ლეგალიზაცია ხდებოდა ფაქტობრივად რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ფარგლებში და იყო ე.წ. „ორმაგი სტანდარტების პოლიტიკის" ყველაზე დაუფარავი განხორციელება. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარება შეიძლება ჩაითვალოს ლოგიკურ პასუხად (საუბრები ამის შესახებ მიმდინარეობდა 2008 წლის 8 აგვისტომდე, დიდი ხნით ადრე, მხოლოდ ხელსაყრელ საბაბს ელოდებოდნენ, რომელიც თავად საქართველომ მიართვაძ. ასე თუ ისე, ორივე შემთხვევა არ შეიძლება განვიხილოთ ერის თვითგამორკვევის უფლებაზე სახელმწიფოს მთლიანობის პრინციპის პრიორიტეტზე დავის კონტექსტში – ორივე გარეშე მოთამაშეების დიდი თამაშის ელემენტი იყო, თამაშისა, რომელიც თუ ქმნის პრეცედენტს, მხოლოდ სიტყვიერს. აფხაზეთის მსოფლიო აღიარება (რაც აუცილებლად მოხდება საქართველოს მიერ აღიარების შემდეგძ საკითხს კატეგორიულად დააყენებს, ის უკვე ახალი „ცივი ომის" თამაშის ფარგლებს გასცდება. უმალვე გააქტიურდება სეპარატისტული მოძრაობა მთელს მსოფლიოში, რომლის შეჩერებაც უკვე გაცილებით რთული იქნება.

ცხადია, რომ დასავლეთი შეეცდება არ დაუშვას ასეთი სცენარი უკვე თუნდაც ამიტომ, და სულაც არა იმიტომ, რომ მხარი დაუჭიროს საქართველოს და არ მისცეს მოსკოვს კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს თავისი წარმატებები „ფეხზე წამოდგომის" პროცესში. თუმცა საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში დასავლეთს სხვა გამოსავალი აღარც ექნება, რომ არ დათანხმდეს ამ ფაქტს. მეორე მხრივ, დასავლეთს არც კონფლიქტის ლღობა უნდა. ყველაზე საუკეთესო ვარიანტია – სტატუს კვოს შენარჩუნება „უკეთეს დრომდე", რათა არ გადაიტვირთოს ურთიერთობა რუსეთთან და არც საქართველო დაივიწყონ. ხოლო თუ რა არის დასავლეთისთვის „უკეთესი დრო", ვფიქრობთ, ამას განმარტება არ სჭირდება.

მაგრამ სეპარატიზმის საფრთხე ემუქრება არა მხოლოდ ევროპას, არამედ რუსეთსაც, და, წარმოიდგინეთ, მას უწინარეს ყოვლისა. ჯერ კიდევ 90-იან წლებში ზოგიერთი რუსი პოლიტოლოგი აფრთხილებდა მას თავი შეეკავებინა ზოგიერთი საბჭოთა ავტონომიის დამოუკიდებლობის აღიარებისგან, საუბრობდა იმის შესახებ, რომ ამან შეიძლება გააღვივოს უამრავი სეპარატისტული კერა თავად რუსეთში. და 90-იან წლებში, ჩეჩნეთის ომის ფონზე, იგივე აფხაზეთის აღიარებას შეეძლო სინამდვილეში აეფეთქებინა ჩრდილოეთი კავკასია. აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი რუსეთმა აღიარა, ჩვენ კვლავ შედარებითი წარმატებით ვაგრძელებთ ამ ქვეყნებთან თანამშრომლობასო, დაძაბულობის გრადუსზე თავად რუსეთში არა გვგონია ამას რაიმე გავლენა მოეხდინა. მიუხედავად ამისა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ერთია ვინმეს ნაწილობრივი აღიარება თავად რუსეთისა და მისი სატელიტების მიერ, და სრულიად სხვა – მთელი მსოფლიოს მიერ აღიარება.

და კვლავ ვშორდებით საკითხს პრიორიტეტების შესახებ, ესე იგი საკითხი უბრალოდ იხსნება, ვინაიდან მასზე არის სავსებით ერთმნიშვნელოვანი პასუხი, რასაც ადასტურებს მთელი მსოფლიო გაერთიანება. ერების უფლება უფრო მნიშვნელოვანია. მიმაჩნია, ზოგიერთი გარე ძალაც არ დააყოვნებს, არ გამოიყენოს სიტუაცია, რათა აამოქმედოს დამანგრეველი პროცესები თავად რუსეთში. ეს ერთი. მეორეც: აფხაზეთის აღიარებამ შეიძლება გამოიწვიოს დასავლეთში მისი საგარეო პერეორიენტაცია, რაც რუსეთისთვის უდიდესი გეოპოლიტიკური მარცხი იქნება, ვინაიდან ერთბაშად მოხდება ყველა იმ ღირებულების ნიველირება, რისთვისაც იწყებოდა „იძულებითი მშვიდობისა" და შემდგომი აღიარების მთელი ეს ისტორია. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ უზარმაზარ ეკონომიკურ დანაკარგებზე და ოლიმპიურ თამაშებთან ერთად პოსტსაბჭოთა რუსეთის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი ფარდულის დაკეტვაზე, არამედ ვსაუბრობ იმაზე, რომ დასავლეთი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მოახდინოს აფხაზეთის პერეორიენტაცია, და თავად აფხაზებშიც ცოტა როდი აღმოჩნდება პერეორიენტაციის მსურველი, ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. დასკვნა ასეთია: რუსეთისთვის კიდევ უფრო ხელსაყრელია სტატუს კვოს შენარჩუნება, მით უმეტეს, რომ ცალკეული ქვეყნების მიერ აღიარება არის აგრეთვე ფულის გადინების საშუალება და პოტენციური პარტნიორების ლოიალობისა და საიმედოობის მაჩვენებელი.

## ვის რას აძლევს საქართველოს მიერ აფხაზეთის აღიარება?

ახლა განვიხილოთ, რას მოუტანს აღიარება თავად კონფლიქტის მხარეებს. აფხაზეთისთვის ეს იქნებოდა უტყუარი სიკეთე, მსოფლიო გაერთიანებასთან ინტეგრირების, საერთაშორისო ინსტიტუტებში წარდგინების საშუალება, ბოლოს და ბოლოს, მას ექნება საშუალება აირჩიოს, ვისთან იმეგობროს, ვინ დაუშვას თავის ეკონომიკაში. ეს ჩვეულებრივი მცხოვრებლებისთვის. მაგრამ არა მათთვის, ვინც მონაწილეობს რუსეთის ფულის ხარჯვა-განიავებაში, მათთვის ეს ყველაფრის დაკარგვა იქნებოდა. და არა მათთვის, ვინც მიეჩვია არაფრისგან ფულის კეთებას, იწოვს ამ ფულს ტურისტების ჯიბეებიდან – იმის იმედის ქონა კი, რომ აღიარების შემთხვევაში ევროპელები მასობრივად დაიძვრებიან აფხაზეთისკენ, არ ღირს. და საერთოდაც, საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მყარად ზის აფხაზეთი რუსეთის ორბიტაში და რასთან შეიძლება მიგვიყვანოს ამ ორბიტიდან გადმოხტომის მცდელობამ, მეტად საინტერესოა და ცალკე განხილვას მოითხოვს.

აქ სხვა რამ უნდა აღინიშნოს განსაკუთრებით: აფხაზეთი არასოდეს დათანხმდება საქართველოს მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს (არეშიძის პირობებს კიდევ უფრო რბილი შეიძლება ვუწოდოთძ. არანაირი საუბარი არ შეიძლება იყოს ლტოლვილთა დაბრუნებაზე. დაახლოებით 50 ათასი ქართველი-მეგრელის რეპატრიაციამაც კი გალის რაიონში აღშფოთების არნახული ტალღა გამოიწვია აფხაზეთის საზოგადოებაში, რაღა უნდა ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ ყველა ლტოლვილის დაბრუნების შესახებ საუბარი აზრადაც არავის მოსდის. თუ რით შეიძლება ეს დამთავრდეს აფხაზეთისთვის, ყველამ შესანიშნავად იცის, მეც არ მინდა კიდევ ერთხელ ვისაუბრო ზოგიერთ საჩოთირო, მაგრამ ომის გარდაუვალ შედეგებზე. მით უმეტეს, რომ ლტოლვილთა უდიდეს უმრავლესობას, გამოკითხვის თანახმად, არანაირი სურვილიც კი არ აქვს დაბრუნდნენ მათთვის უცხო ქვეყანაში – დამოუკიდებელ აფხაზეთში, უშიშროების საერთაშორისო გარანტიებითაც კი. რატომ არ შეუძლიათ ქართველებსა და აფხაზებს კიდევ დიდხანს ერთად ცხოვრება და კიდევ რამდენი წელი დასჭირდება გათიშულობის დაძლევას – ეს კვლავ ცალკე განხილვის თემაა.

იგივეა რუსეთის ჯარების გაყვანის საკითხი. იგი აფხაზეთისთვის უშიშროების ერთადერთი გარანტიაა. არანაირი საერთაშორისო ძალები, რომლებმაც უნდა შეცვალონ რუსეთის ჯარები, ასეთ გარანტიას არ მისცემენ, მით უმეტეს, არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეს ძალები აშკარად კონფლიქტის ერთ მხარეს უფრო მეტი სიმპათიებით მოეკიდებიან. და არაფერი შეუშლის ხელს საქართველოს, აფხაზეთის აღიარების შემდეგ, დაესხას თავს თანაბარუფლებიან მეზობელს, და სანამ ვინმე გონს მოვა, დაითრიოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, თუ მთლიანად არა.



# მამუკას

### ანუ ვისთვისაა ხელსაყრელი საქართველოს მიერ აფხაზეთის

ახლა საქართველოსა და მისთვის ამგვარი ნაბიჯების შედეგების შესახებ. აქ უფრო დიდხანს შევჩერდეთ, ვინაიდან უნდა გავიგოთ, თუ რატომ არის არეშიძის ინიციატივა ჩავარდნისთვის განწირული, და თუ რატომ საქართველო არასოდეს და არანაირ ვითარებაში არ აღიარებს არც აფხაზეთის, არც სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობას. მაგრამ დასაწყისისთვის განვიხილოთ ის მოგება, რაც მას აღიარებამ შეიძლება მოუტანოს.

ცხადია, არეშიძე მზაკვრობს, როდესაც ლაპარაკობს, რომ ასე სურს გადაარჩინოს აფხაზები რუსეთის ჩაყლაპვისგან. ასეც რომ იყოს, აფხაზებს არასოდეს დაუმალავთ, რომ ურჩევნიათ იყვნენ რუსების მიერ ასიმილირებულები, ვიდრე ქართველების მიერ (სჯობიაო გადნე ოკეანეში, ვიდრე გუბეშიძ. საქმე ისაა, რომ აფხაზეთის აღიარება სინამდვილეში თეორიულად შეიძლება საქართველოსთვის სიკეთის მომტანი ყოფილიყო. ეკონომიკური თვალსაზრისით, აფხაზეთი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, მას ხშირად უსახელურო ჩემოდანს ადარებენ, რომლის ტარება ძნელია, გადასაგდებად კი გენანება. თუ რატომ გენანება, ახლა ავხსნი.

ჩემს გამოკვლევებში ქართულ-აფხაზურ თემატიკაზე, ხშირად აღმინიშნავს, რომ სსრ კავშირის ექსრესპუბლიკების უდიდესმა უმრავლესობამ მაინც ვერ შეძლო მიეღწია თავისი ეროვნული იდეისთვის, რომელიც ემყარება მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ფაქტს. ბევრი მათგანი მის აგებას შეეცადა ისტორიის გადმოწერით, უნერგავდა ხალხს შეგნებაში აზრს იმის შესახებ, რომ, აიო, ისინი ბოროტების იმპერიის მსხვერპლი იყვნენო, ე.ი. თავიანთ სახელმწიფოებრიობის საძირკვლად იყენებდნენ არა შემოქმედებით, არამედ დამანგრეველ საფუძველს. არაერთგზის ვწერდი იმის შესახებ, რომ ეს არის დაყოვნებითი მოქმედების ბომბი, რომელიც ადრე თუ გვიან აფეთქდება და კვლავ გადააკეთებს ხელახლა პოსტსაბჭოთა სივრცის რუკას. საქართველოსთან დაკავშირებით პრობლემას ართულებს ისიც, რომ თავად იგი მინი-იმპერიაა, რომლის თანამედროვე საზღვრებიც მისთვის მიცემული აქვს იმავე მტანჯველ იმპერიას. როდესაც უარყოფენ რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის კანონიერებას, საქართველო და სხვა რესპუბლიკელები ფაქტობრივად უარყოფენ იმ საკუთარი საზღვრების კანონიერებას, რომლებიც მათ არასოდეს ჰქონიათ, როდესაც დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ მაშინაც კი.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ საქართველო ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შთანთქავდა ხალხებს, მათგან აღნობდა იმ პოლიტიკურ ერს, რომელსაც დღეს წარმოადგენენ ქართველები. დიდი ხანია შეწყვიტეს ცალკეულ ეთნოსებად ყოფნა ხევსურებმა, გურულებმა, თუშებმა, იმერლებმა, მაგრამ ერთგვარად კვლავ შეინარჩუნეს თავიანთი იდენტურობა მეგრელებმა, აჭარლებმა (მათი იდენტურობა, მართალია, ემყარება მხოლოდ რელიგიას, მიუხედავად ამისა, ყოველთვის წარმოქმნიდა ავტონომიისკენ მისწრაფების ძალიან ძლიერ ტრადიციებსძ, სვანებმა. საქართველო არსებითად ცდილობს შექმნას ერი ფრანგული ან ამერიკული სცენარით. ცდილობს, შექმნას უკვე მრავალი საუკუნეა, მას კი ყოველთვის უშლიან ხელს: ხან მათი ხელოვნურად გამთიშავი თურქეთი ან ირანი, ხან რუსეთი, ხან კიდევ შინაომი და მისწრაფება მონახოს მფარველი. მიუხედავად ამისა, კერძოდ გარდა ქართველი ხალხისა, რომელიც ახდენს ასიმილირებას საკმაოდ იოლად, საქართველოს ტერიტორიაზე არიან ასევე სომხები, აზერბაიჯანელები, ასევე იგივე ოსები, აფხაზები, რომლებსაც, როგორც მინიმუმი, დაჟინებით არ უნდათ ასიმილირება, როგორც მაქსიმუმი – წინააღმდეგობას უწევენ ამას იარაღით ხელში. სწორედ ამიტომ ქართულ ეროვნულ იდეას საფუძვლად დაედო „ჩვენი მიწის" კონცეფცია.

მის თანახმად ყველა მიწა, რომლებიც ოდესღაც შედიოდნენ ერთ-ერთი ქართული სამეფოს შემადგენლობაში, არის ოდითგანვე ქართული, იქ მცხოვრები ხალხები კი – მოსულები. თანაც მოსვლის ასაკი შეიძლება არ შემოიფარგლოს ასეული წლებით. აი, ჩვენი მიწების ერთ ციცქნასაც კი, როგორც ცნობილია, არავის დავუთმობთ.

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველთა ეროვნული იდეა არ არის სიცოცხლისუნარიანი „ჩვენი მიწის" ციცქნა ნაწილის დაკარგვის პირობებში. პირობებში, როდესაც ტერიტორიის დაკარგვა, განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ, გახდა პრაქტიკულად შეუქცევადი, თამამად შეიძლება ასეთი ეროვნული იდეის მოსროლა ნაგავსაყრელზე – იგი მხოლოდ ხელს შეუშლის განვითარებას და წარსულისკენ გაგქაჩავს. იმისთვის კი, რომ შეეცადო შექმნა ახალი ეროვნული იდეა, რომელიც დააფუძნებდა უკვე ახალ თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს, და არა საქართველოს სს რესპუბლიკის მემკვიდრეს, საჭიროა არა მხოლოდ უარყო ძველი, საჭიროა ძალიან სერიოზულად გადასინჯო მთელი ხალხის მენტალიტეტი. უნდა აღიარო, რომ თავისუფალი ერის აშენება იმ სახით, როგორიც ბევრ იდეოლოგს, დაწყებული ილია ჭავჭავაძიდან, სურდა, არ გამოვიდა. უნდა გავიხედოთ უკან, ანალიზი გავუკეთოთ შეცდომებს და ვიაროთ წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეცდომები განმეორდება, მათი შედეგები სულ უფრო ნეგატიური გახდება – ერთი სიტყვით, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით – სუვერენიტეტის დაკარგვით. შეუძლებელია ერთ დინებაში ორჯერ შესვლა, ისევე როგორც ახალ სამყაროში შესვლა ძველი ჯაგლაგა ცხენით. სამწუხაროდ, ეს საქართველოში ან არავის ესმის, ან არ უნდა ამის გაგება მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ 1991 წელს ლამის დაიხრჩო თავისუფლების ჰაერის ჩასუნთქვით და ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა. ამ დროს ეს ჰაერი, რომელიც აი უკვე 20 წელია ყრუდ არის ჩაკეტილი და დაცული სათავსოში გარეშე ზემოქმედებისგან, უკვე იწყებს ლეშად გადაქცევას.

არის კიდევ სხვა სარგებელიც ისეთი ბალასტის მოშორებისგან, როგორიცაა აფხაზეთი: დაბრკოლებების მოხსნა ევროკავშირსა და ნატოში შესვლისთვის, ურთიერთმოქმედების გაიოლება მსოფლიო გაერთიანებასთან, შე-

# მარტოსულობა,

## აღიარება და რატომ არ მოხდება ეს უახლოეს პერსპექტივაში

საძლებლობა გამოცინცლო დასავლეთს მეტი ფული, ბოლოს და ბოლოს, კავშირურთიერთობის აღდგენა რუსეთთან. მაგრამ ეს ყველაფერი არარაობაა იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი ეროვნული იდეის შექმნის მცდელობის კრახმა შეიძლება უბრალოდ გაანადგუროს საქართველოს სახელმწიფო, რომელიც, როგორც ეს არაერთგზის აღნიშნულა, არის მრავალმხრივ ხელოვნური. წინა აბზაცში ვწერდი იმის შესახებ, რომ უარს აფხაზეთზე შეიძლებოდა ხელი შეეწყო ახალი იდეის, ახალი ერის, ახალი ქვეყნის შექმნისთვის. ახლა კი ვიტყვი იმის შესახებ, რომ ასეთი უარი შეიძლება გახდეს არა უბრალოდ დასაწყისი, არამედ დასასრულის დასაწყისი.

არეშიძის მიერ გამოთქმული იდეა, პირდაპირ ვიტყვით, არ არის ახალი. უკვე დიდი ხანია ზოგიერთი ექსპერტი საუბრობდა აფხაზეთის გაყოფაზე დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად, გვთავაზობდნენ სხვადასხვა, ზოგჯერ ფანტასტურ პროექტებს, თუმცა ეს საუბრები ხდებოდა ან სამზარეულოებში, ან ინტერნეტში. იმავე მოლდოვაში უკვე დიდი ხანია საექსპერტო დონეზე განიხილავენ დნესტრისპირეთზე უარის შესაძლებლობას და მშვიდობიან შესვლას ევროკავშირში (თავისი სვლით ან რუმინეთის შემადგენლობაშიძ, საქართველოში ამ მომენტამდე ამის შესახებ საჯაროდ საუბარი არც იყო დაშვებული. ამ იდეის მომხრეთა ოდენობა ძნელად თუ გადააჭარბებს 2-3 პროცენტს, და ეს ადამიანები ავტომატურად გახდებიან ქართული პოლიტიკის აუტსაიდერები. საქართველოს და მოლდოვას საერთო აქვთ ის, რომ სეპარატისტული რეგიონის დაბრუნება ეროვნული იდეის საფუძველი გახდა, და მასზე უარის თქმამ შეიძლება მიგვიყვანოს სახელმწიფოს სიკვდილთან და უკვე ნამდვილად – პოლიტიკური ერის მთელი მრავალწლიანი პროცესის კრახთან. მაგრამ თუ მოლდოვისთვის ეს იქნება რუმინეთის შემადგენლობაში შესვლა, საქართველოსთვის – ქვეყნის დაშლა სამოქალაქო ომის პერსპექტივით.

შეგახსენებთ, რომ თავიანთ სახელმწიფოებრიობას ქართველები აგებდნენ იმათ ასიმილაციაზე, ვისი ასიმილირებაც შეიძლება და იმათ გამოდევნაზე, ვისი ასიმილირებაც შეუძლებელია. ეს არ არის ახალი პრაქტიკა, ამას იყენებდნენ ჯერ კიდევ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში და ნაწილობრივ საბჭოთა პერიოდში. თუმცა ლოზუნგს „საქართველო ქართველებისთვის!“ ხმამაღლა მხოლოდ გამსახურდიას დროს გაიძახოდნენ, ფარულად იგი ყოველთვის არსებობდა ქართულ პოლიტიკურ დისკუსში. და, ბუნებრივია, ეს ნახულობდა თავის პრაქტიკულ გამოხატულობას. სწორედ ამ მიზეზით მოახდინა საქართველომ მტკივნეული რეაგირება აფხაზებისა და ოსების თითქოსდა უბრალო და სავსებით კანონიერ მოთხოვნებზე ავტონომიის შესახებ, სწორედ ამიტომ პირველი, რაც გააკეთა სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის დროს – ეს იყო აჭარის ავტონომიის ფეხქვეშ გათელვა, სწორედ ამიტომ ხდება სომხებისა და აზერბაიჯანელების ძალადობრივი ასიმილაცია და ქვეყნიდან განდევნა. აი მხოლოდ სვანებისა და ქისტების ხელის ხლებას პანკისში ჯერჯერობით ვერ ბედავენ – მათ შეუძლიათ დაიცვან თავი. იმის ნაცვლად, რომ მისდიონ გონების ხმას, საქართველოს ხელისუფლებამ, დამოუკიდებლობის მოპოვების დროს, დაიწყო მოქმედება „ჩვენი მიწის“ ძველი კონცეფციის ფარგლებში. ამან გამოიწვია სისხლისმღვრელი ომები და უზარმაზარი ტერიტორიის დაკარგვა.

ახლა საქართველო მზადაა მისცეს აფხაზებს ავტონომია, მაგრამ ისინი უკვე აღარაფერზე აღარ არიან თანახმა, თუ არა დამოუკიდებლობაზე. რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარესთან შეერთების იდეაც, რისთვისაც იღვწოდნენ საბჭოთა პერიოდში, აღარ იზიდავს მათ. უკვე ძალიან გვიანია, მატარებელი წავიდა. თითქოსდა, უნდა აღიარო და ააგო კეთილმეზობლური ურთიერთობანი. მით უმეტეს, თუ აფხაზები მიიღებენ საქართველოს პირობებს (წარმოიდგინეთ, რომ ეს თუნდაც თეორიულად შესაძლებელიაძ. მაშინ, როგორც ზოგიერთი ქართველი ექსპერტი აღნიშნავს, შეიძლებოდა ევროკავშირში შესვლა ორი მეგობრული ქვეყნის სახით. რასაკვირველია, აფხაზეთის შემდგომი შთანთქმის პერსპექტივით, რაც ყველა ლტოლვილის დაბრუნების შემთხვევაში წმინდა ტექნიკური საკითხი გახდება. და ამ გზით გაეცურებინათ რუსეთი, წაერთმიათ მისთვის რეგიონში დომინირება (არეშიძის სიტყვებით, უნდა გადაიდგას მოულოდნელი ნაბიჯი, რომელიც განაიარაღებს მოწინააღმდეგეს, გადაწყვეტს პრობლემას რუსეთის მონაწილეობის გარეშეძ. მაგრამ მთავარი პრობლემა არის ის, რომ ეს პერსპექტივა საქართველოს შეიძლება არ ჰქონდეს.

ტერიტორიის დაკარგვის ფაქტის აღიარებას (წაიკითხე: მთელი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო მშენებლობის ჩავარდნის ფაქტის აღიარებასძ შეუძლია უმოკლეს ვადაში გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქცია, განსაკუთრებით თუ მას ცეცხლს შეუნთებენ გარედან. სამეგრელო, აჭარა, ჯავახეთი, ქვემო ქართლი – ეს პოტენციურად ფეთქებადსაშიში რეგიონების არასრული სიაა, სადაც ცენტრიდანულ ძალებს შეუძლიათ გაანადგურონ საქართველო შიგნიდან. ვიმეორებ, რეაქცია იქნება კიდევ უფრო მწვავე, თუ იგივე რუსეთი მოინდომებს მათრახის გადარტყმას. ის, რომ კრემლს დღეს არ სურს თუ არ შეუძლია შექმნას საექსპერტო ჯგუფი, რომ ააფეთქოს მთელი სამხრეთი კავკასია – საჩუქარია საქართველოსთვის, ყველა რესურსი ამისთვის არის, მარტო სურვილია საჭირო.

გამოდის დახშული წრე: წინსვლისთვის საჭიროა ნაბიჯი, რომელსაც გაუფრთხილებელი გადადგმის დროს შეუძლია მოგისროლოს შორს, უკან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს არ აქვს დრო სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს და მყარი პოლიტიკური ერის შექმნისთვის – მას ამის საშუალებას უბრალოდ არ მისცემენ. ამიტომ საქართველოსთვის, როგორც სხვა არავისთვის, საჭიროა სტატუს კვოს მხარდაჭერა. მაგრამ უნდა გვახ-




სოვდეს იმის შესახებ, რომ მუდმივად ასე არ შეიძლება რომ გაგრძელდეს, და პროგრესის უქონლობა ადრე თუ გვიან სტაგნაციასთან, ლპობასთან და დაღუპვასთან მიგვიყვანს. აქ ერთგვარი „დედლაინი“ შეიძლება გახდეს მთიანი ყარაბახის კრიზისის გადაწყვეტა, რის შემდეგაც საქართველო აღარ იქნება რეგიონის სატრანზიტო ცენტრი, სომხეთსა და აზერბაიჯანს გაუთავისუფლდებათ ხელები თავიანთი თანამემამულეებისთვის ჯავახკსა და ბორჩალოში. წმინდა ადამიანური გრძნობით მე ვუთანაგრძნობ საქართველოს (განსაკუთრებით მათ, ვინც დაკარგა თავისი სახლი და ქონებაძ, მაგრამ აქ არაფერია ფაქტის კონსტატაციის გარდა: რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ თავიდანვე დამღუპველი გზა აირჩია, როდესაც საკუთარ სახელმწიფოს ჩაუდო დაყოვნებითი მოქმედების ნაღმი. სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი თავად საქართველოში, მუდმივი რევოლუციები, რომლებიც ახდენენ პოტენციური ნგრევის ილუსტრირებას (აღმოსავლეთი-დასავლეთიძ – ეს ყოველთვის ადასტურებს ამას.

დღეს საქართველოში ყველა ლანძღავს არეშიძეს, ვინაიდან სხვაგვარად არ შეიძლება. ოფიციალური პროპაგანდა ჩიხში შევიდა. სააკაშვილმა, რომელმაც თავისი პრეზიდენტობის მთავარ აზრად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება გაიხადა, ცხადია, ეს აზრი დაასაფლავა. ახლა ის ფიქრობს მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნებაზე, და მისი უპირატესობა არის ის, რომ თავისი ჩავარდნით მან ბევრი გახურებული თავი გააცივა, რომლებსაც შეეძლოთ მისი ადგილის დაკავება. მაგრამ ხელისუფლების უმოქმედობის პირობებში თავად საქართველოს საზოგადოება იწყებს ჩიხიდან გამოსვლის გზების ძიებას. ერთ-ერთ ასეთ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ არეშიძის ინტერვიუ. და აი, გადაიდგა პირველი ნაბიჯი: ხმამაღლა ითქვა ის, რისი თქმაც ადრე არ შეიძლებოდა. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ არეშიძის იდეის მომხრეთა რიცხვი გაიზრდება, თუმცა უმნიშვნელოდ, ისევე როგორც გაიზრდება აფხაზებთან შეთანხმების და მათთვის წაყენებული პირობების ვარიანტების ოდენობა და მაინც მჯერა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას აქვს შანსი შეჩერდეს და დაფიქრდეს. და შეეცადოს, შეცვალოს რაღაცა. ყოველ შემთხვევაში იმ ხელმძღვანელობამ, რომელიც დღევანდელს შეცვლის.

### კომენტარი

*ავტორს ეშინია, რომ „აფხაზეთის მსოფლიო აღიარება“ (რაც გარდუვალად მოჰყვება საქართველოს მიერ მის აღიარებასძ, გადაჭრით დასვამს საკითხს და თამაშის ჩარჩოებიდან ახალ „ცივ ომში“ გადავა... ვფიქრობ, რომ ზოგიერთი გარე ძალაც მცდელობას არ დააკლებს, ისარგებლოს მდგომარეობით, რათა აამოძრაონ დამანგრეველი პროცესები რუსეთის შიგნით. ეს ერთი, და მეორე: აფხაზეთის აღიარებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ევროპულ ორიენტაციაზე გადასვლა, რაც რუსეთისთვის დიდი გეოპოლიტიკური დამარცხება იქნება, რადგან იმავდროულად წყალში ჩაიყრება ყველა ის ღირებულება, რომელთათვისაც „მშვიდობისათვის იძულებისა“ და შემდგომი აღიარების მთელი ეს ისტორია დაიწყო... დასავლეთი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის,რომ ორიენტაცია შეაცვლევინოს აფხაზეთს, და, შეგვიძლია ეჭვი არ შევიტანოთ, რომ აფხაზეთში აღმოჩნდებიან არცთუ ცოტანი, დასავლურ ორიენტაციაზე გადასვლას რომ მოისურვებენ. დასკვნა: რუსეთისათვის ბევრად უფრო ხელსაყრელია სტატუს კვოს შენარჩუნება“. და გულს იმშვიდებს, სეპარატიზმის საშიშროება, რუსეთთან ერთად, დასავლეთსაც ემუქრება , ამიტომ ეცდება, არ დაუშვას ასეთი სცენარი და სტატუს კვო შეინარჩუნოსო: „ყველაზე საუკეთესო ვარიანტი – ეს არის სტატუს კვოს შენარჩუნება...“ მაგრამ დასავლეთს, სახელდობრ აშშ-ს რომ სტატუს კვოს შენარჩუნება უნდოდეს, საქართველოს ხელისუფლებას დაავალებდა აფხაზეთის სახიფათო აღიარებას?! ხოლო თუ ავტორი დარწმუნებულია იმაში, რომ საქართველოს მიერ აფხაზეთის აღიარების იდეა მამუკა არეშიძის ფანტაზიის ნაყოფია, მაშინ საშიშიც არაფერი იქნებოდა და ამხელა შეშფოთებულ წერილს არ გააშანშალებდა, საქართველოსთვის საშინელი პერსპექტივის დახატვით, რაც უსაფუძვლო სულაც არ არის! საქმეც ის არის, რომ მამუკა არეშიძის მიერ გახმოვანებული იდეის უკან ავტორი დასავლეთს (აშშ-სძ ვარაუდობს.*

*სტატუს კვოს შენარჩუნება რუსეთისთვის რომ ხელსაყრელია, იმიტომაც გაყინა მან კონფლიქტი 20 წელი. მაგრამ აფხაზეთის მსოფლიო აღიარება სწორედ იმისათვის მოხდება, რომ რუსეთი გამოემშვიდობოს სტატუს კვოს, რათა, აღიარების პიონერის მამუკა არეშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს“ იგი! რუსეთისთვის საშიში არ არის, რომ კონფლიქტის ეს „გაღლობა“ მთელ ჩრდილოეთ კავკასიას გააერთიანებს, რაც რუსეთის ფედერაციის დაშლას, ხოლო საქართველოს მოსპობას შეიძლება მოასწავებდეს. აქ კი თანხვდება რუსეთისა და საქართველოს ინტერესები. ისინი პოტენციური მოკავშირეები არიან, რასაც ვერც ერთი აცნობიერებს, ვერც მეორე.*

*ამ თვალთახედვით, საფუძველს მოკლებულია ანტირუსულად განწყობილი პატრიოტ ოპონენტთა აზრი (ქართული პატრიოტიზმის არსი ხომ ანტირუსული სულისკვეთებააძ, თითქოს საქართველოს მიერ აფხაზეთის აღიარება რუსეთის ინტერესებში შედიოდეს და კავკასიის საკითხებში ექსპერტი „პირდაპირ რუსეთის დავალებას ასრულებდეს“. რუსეთი საქართველოსავით სულელი ხომ არ არის, რომ თავის დასაკლავად დანას თვითონ ილესავდეს?! რაც შეეხება ექსპერტს, იგი ისეთივე „პატრიოტია“, როგორიც მისი ანტირუსულად განწყობილი ოპონენტები, რამეთუ მისი სანუკვარი მიზანი ის გახლავთ, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს რუსეთი“, თუნდაც ამან უარეს მდგომარეობაში ჩააყენოს საკუთარი სამშობლო.*

*მიზანი ამართლებს საშუალებასო, და სამშობლოს მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება რა სახსენებელია რუსეთის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებასთან შედარებით?! აფხაზეთის აღიარების ამბავი სად იყო, რომ ერთი „პატრიოტი“ ქართველი სერიოზულად გვიმტკიცებდა: მთავარია, რუსეთს მძიმე დარტყმა მიადგეს, თორემ ჩვენ ცოცხალი ვიქნებით თუ მკვდარი, რა ბედენაა: „წესით, საქართველოს რუსეთისთვის ყრუ ზონა უნდა იყოს. რუსეთის ყველა მოქალაქე საქართველოდან უნდა განიდევნოს. რუსული ტვირთების მოძრაობა შეჩერდეს, ეს მათთვის მძიმე დარტყმა იქნება. მესმის ათასობით ქართველის ბედიც, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ, ყველა შემთხვევაში ზიანი მათაც მიადგებათ...“ მაგრამ რა უშავს?! პატრიოტიზმი თავგანწირვას მოითხოვს! ამ სიტყვების პატრონს – ვაი მაგის პატრონს! – დასავლეთთან „მეგობრობა“ და „სტრატეგიული პარტნიორობაც“ იმისათვის სდომნია,რომ „რუსეთი იქ არ დატოვოს, სადაც არის“, ჩვენ კი თუნდაც ეშმაკს წავუღივართ: „რუსეთს აქ არავინ დატოვებს, მაგრამ ჩვენ, ცოცხალი ვიქნებით თუ მკვდარი, ეს არავის აინტერესებს... თეორიულად (რატომ თეორიულად, პრაქტიკულად! ო.ხ.ძ შესაძლებელია არც ერთი ქართველი ცოცხალი არ დარჩეს... დიდ პოლიტიკაში ქართველების გადარჩენა მათ მიზნებში არ შედის...“ ჰოდა, დიდი ამბავი, თუ ჩვენისთანა ციცქნა ერი დიდი დასავლელი ერების მიზნებს შეეწირება!*

*ასეა თუ ისე, საქართველოს მიერ აფხაზეთის აღიარება რუსეთის ინტერესებში არ არის და გამორიცხულია, რომ მამუკა არეშიძეს რუსეთიდან მიეღო მისი დაკვეთა, როგორც ამას ქალბატონი თამარ ჩხეიძე ვარაუდობს. პირიქით, თუ დაკვეთაა, იგი დასავლეთიდან (აშშ-დან, რადგან ევროპას მართლაც შეიძლება სტატუს კვოს შენარჩუნება აინტერესებდეს, რათა ომი არ იყოს, აშშ-ს კი სტატუს კვოს შენარჩუნება ხელს არ აძლევს, თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს რუსეთთან დაპირისპირებაძ უნდა მიეღო, ამისთვის კი მას „ქვეყნისა და სახელმწიფოს ღალატში“ ვერ დავდებთ ბრალს, ვინაიდან და რადგანაც აშშ საქართველოს (სააკაშვილისძ „მეგობარი- და სტრატეგიული პარტნიორია“. ამ თვალსაზრისით კი, ბატონი მამუკა მოღალატე კი არა, „გმირი“ გამოდის. ხოლო თუ თავისით მოუვიდა აფხაზეთის აღიარების იდეა... (არ მინდა ვაკადრო მას „გმირის“ რითმა, რადგან ამ იდეის განხორციელება, ვის თავშიც უნდა დაბადებულიყო იგი, ცივ ომში კი არა, ცხელ ომში ჩაითრევს აშშ, რუსეთს, რაც კარგს არას მოუტანს საქართველოს.*

*რასაკვირველია, მე აქ აღარაფერს ვლაპარაკობ სტატიის ავტორის აშკარა ანტიქართულ, მთლად საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი ზიზღით გაჯერებულ ტენდენციებზე და უხეშად, თავდაყირა დაყენებულ ფაქტებსა და მოვლენებზე, რასაც მკითხველი ისედაც ადვილად შეამჩნევდა.*

**ომარ ხახაშვილი.**

თავისუფალი ჟურნალისტი, ბელგიის მოქალაქე.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ფოტოგრაფმა აღიარა, რომ რუსეთის სასარგებლოდ მუშაობდა

**სამი ფოტოგრაფიდან, რომლებსაც ბრალი ედებათ ჯაშუშობაში, უკანასკნელმა შაბათს აღიარა ჯაშუშობა რუსეთის სასარგებლოდ, – ამის შესახებ განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ამ განცხადებამ გააოცა ფოტოგრაფის ადვოკატი.**

რამაზ ჩინჩალაძემ, ფოტოგრაფ გიორგი აბდალაძის ადვოკატმა თქვა, რომ მისი კლიენტი დაჟინებით აცხადებდა თავისი უდანაშაულობის შესახებ შეხვედრაზე აღიარების გამოცხადებამდე ათი წუთით ადრე.

„ის დაბეჯითებით აცხადებდა, რომ არის უდანაშაულო, მაგრამ გააკეთა აღიარება მოგვიანებით პროკურორთან და გამომძიებელთან შეხვედრის დროს. ჩვენ მეტად გაოცებულები დავრჩით“, – განაცხადა ჩინჩალაძემ.

გასულ კვირას საქართველოში დააპატიმრეს სამი ფოტოგრაფი და მათ ბრალი დაედოთ ჯაშუშობაში. ესენი არიან ირაკლი გედენიძე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პირადი ფოტოგრაფი, ზურაბ ქურციკიძე ევროპის პრესფოტოს სააგენტოდან და აბდალაძე, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და იყო ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს შტატგარეშე კორესპონდენტი.

გასულ კვირას ტელევიზიით აჩვენეს გედენიძის აღიარება პრეზიდენტის მარშრუტის დეტალების გადაცემის შესახებ. ქურციკიძის ადვოკატის სიტყვებით, პარასკევს მან აღიარა დანაშაული ჯაშუშობაში რუსეთის სასარგებლოდ. საქართველოს საზოგადოებრიობის ზოგიერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა ივარაუდა, რომ აბდალაძე და დანარჩენები იძულებული იყვნენ ეღიარებინათ დანაშაული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გვაცნობა: გამომძიებლებს მიაჩნიათ, რომ ქურციკიძე დაკავშირებული იყო რუსეთის სამხედრო დაზვერვის ქვედანაყოფთან, დაზვერვის მთავარ სამმართველოსთან, რომლებმაც დაიქირავეს ორი სხვა ფოტოგრაფიც, რათა გადაეცათ მათთვის საიდუმლო ინფორმაცია.

მთავრობამ განაცხადა: გამომძიებლებმა აღმოაჩინეს საიდუმლო გამოსახულებანი ფოტოგრაფების კომპიუტერებში, მათ შორის, პრეზიდენტის სასახლის სართულების გეგმები და ინფორმაცია პრეზიდენტის მარშრუტის, მისი ვიზიტებისა და შეხვედრების შესახებ.

ეკა ბესელიამ, უკანონოდ დაპატიმრებულთა სოლიდარობის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელმა შაბათს მოინახულა აბდალაძე ციხეში, მან ასოშიეიტედ პრესს აცნობა, რომ, მისი აზრით, ფოტოგრაფმა დანაშაული აღიარა ზემოქმედებით.

აბდალაძემ ადრე გამოაცხადა შიმშილობა თავისი დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად და მიმართა კიდეც ამასთან დაკავშირებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქს.

საქართველოს ყველაზე ცნობილმა ოპოზიციურმა პოლიტიკოსმა ნინო ბურჯანაძემ თქვა, რომ გედენიძის აღიარება შეიძლება იყოს ფიქტიური და გაკეთებული ზემოქმედების შედეგად.

„არავინ ენდობა დაპატიმრებულთა ასეთ აღიარებებს“, – განუცხადა მან ტელეარხ „რუსია ტუდეის“.

გედენიძის მეუღლე ნათია ცოტა ხნით იყო დაპატიმრებული, მაგრამ გაათავისუფლეს მანამ, სანამ მისმა ქმარმა აღიარა დანაშაული. მას ბრალი ედება ჯაშუშობაში ხელშეწყობისთვის.

სამივე დაპატიმრებულს ელოდება თავისუფლების აღკვეთა 12 წლამდე. მათი სასამართლო დაიწყება 1 სექტემბერს, მისი მასალები დახურულია საზოგადოებრიობისთვის.

საქმის საიდუმლოებას გმობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებმაც მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით სასამართლო გახდეს ღია.

Associated Press

# სააკაშვილი და დესტაბილიზაციის ჩავარდნილი გეგმა

**არის ამბები, რომლებიც დროის განმავლობაში არ იცვლება, როგორც, მაგალითად, ველური გედების შემოდგომის გადაფრენა, ანდა ფრთოსანი მხედარი, რომელიც ამხედრებულია ძლიერ ცხენზე, შიშველ კლდეს რომ უტევს. ასეთ მხედრებს სამხრეთ ოსეთში მოგზაური შეხვდებოდა ათასი წლის განმავლობაში მთის ფერდობებზე და ხშირი ტყეების ნაპირას ამ მშფოთვარე რეგიონისა, რომლის ფართობიც 3900 კვადრატული კილომეტრია და რომელიც მდებარეობს კავკასიის სამხრეთ ფერდობზე. ძველთაგანვე მოგზაურებს და მებრძოლებს, რომლებსაც ცვალებადი ბედის დარტყმა მრავალგზის მიუღიათ, თაყვანს სცემდნენ სამხრეთ ოსეთში. ეროვნულ ჰიმნში არის მიმართვა წმინდა გიორგისადმი, დაიცვას ეს ერი.**

ოსები ეთნიკურად განსხვავდებიან როგორც ქართველებისგან, ისე რუსებისგან. ისინი მიეკუთვნებიან ირანულ შტოს, მაგრამ მათი ენა უფრო ახლოსაა პუშტუსთან, ვიდრე ფარსთან. ისინი უფრო ახლოს არიან ავღანელების უმრავლესობასთან და არა ირანელებთან, თავიანთ წარმომავლობას მიიჩნევენ ალანებიდან, სკვითებიდან და სარმატებიდან, რომლებიც თავდაპირველად ცხოვრობდნენ მდინარე დონის სამხრეთით. ქართველები კი ეს არის კავკასიელი ხალხი და ისინი მეტყველებენ კავკასიური ჯგუფის ენაზე. თავად ისინი ამტკიცებენ, რომ კავკასიაში დამკვიდრდნენ უძველესი დროიდან, მაშინ, როდესაც ოსებმა ემიგრაცია კავკასიაში მოახდინეს XVII-IX საუკუნეში. ორივე ხალხი ძირითადად მართლმადიდებელია სამხრეთოსეთელი მუსლიმი სუნიტების პატარა ჯგუფის გამოკლებით, ამიტომ სხვადასხვა ომები აქ არასოდეს წამოჭრილა რელიგიური მოტივით, ეს ომები ყოველთვის დაკავშირებული იყო ტერიტორიულ და ეთნიკურ დავებთან.

თანაფარდობა მთელს რეგიონში შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე დაირღვა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ბევრმა კავკასიელმა ხალხმა, მათ შორის, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა და სხვადასხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა დაღესტანში მოინდომეს თავიანთი დამოუკიდებლობის გამოცხადება.

პირველი ომი სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის დაიწყო 1991 წლის 5 იანვარს და დამთავრდა 1992 წლის 24 ივნისს. ოსებმა დაღუპულთა სახით დაკარგეს 2 ათასი კაცი, ქართველებმა კი – 600 კაცი. საქართველოს მხრიდან იბრძოდა ქართული არმია, რომელსაც მხარს უჭერდა ადგილობრივი ეთნიკური მილიცია, სამხრეთი ოსეთის მხრიდან – სამხრეთი ოსეთის ჯარები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ოსეთის მილიცია და რუსი მოხალისეები. ომი დამთავრდა შეთანხმებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა 1992 წლის 24 ივნისს, რუსების შუამავლობით. ამან გამოიწვია რუს-ოს- ქართველ ძალთა შექმნა მშვიდობის შენარჩუნებისთვის ეუთოს მეთვალყურეთა მონაწილეობით. სამხრეთი ოსეთი გამოეყო თბილისს ადმინისტრაციულად, მაგრამ არა პოლიტიკური თვალსაზრისით.



პირველი ომის შემდეგ ნორმალური ცხოვრებისკენ დაბრუნების ნელი და რთული პროცესი დაიწყო, მიუხედავად თბილისის მკვეთრი უკმაყოფილებისა ადგილობრივი მცხოვრებლებისადმი, რომლებმაც დაიწყეს ალკოჰოლის, ხიზილალის, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდა რეგიონში, რამაც გამოიწვია სიღატაკე. მაგრამ არც ერთ ადგილობრივ მცხოვრებს არ შეეძლო წარმოედგინა, რომ ოკეანის გაღმიდან შავი ფიგურის – მიხეილ სააკაშვილის სახით – ხდებოდა ახალი თავდასხმის მატერიალიზება. ეს ტიპური ამერიკელი ადვოკატი ნიუიორკული ფორმაციისა, ორმაგი მოქალაქეობით და ქართული წარმომავლობით უკვე იყო შევარდნაძის იუსტიციის მინისტრი. ამ უკანასკნელს 2003 წელს ბრალი დასდეს მაქინაციებში არჩევნების დროს.

ვაშინგტონის მხარდაჭერით ახალგაზრდა და დესპოტური ნაციონალისტი „მიშა“ გახდა ფერადი რევოლუციის – ვარდების რევოლუციის ლიდერი. ათასობით ადამიანი მონაწილეობდა თბილისში საპროტესტო აქციებში, მათ დაიკავეს პარლამენტი, ისინი უტევდნენ საბჭოთა დიპლომატიის ყოფილ ხელმძღვანელს, 80-ამდე წლის შევარდნაძეს, რომელიც იძულებული გახდა გადამდგარიყო იმავე წლის მარტში. 2004 წლის იანვარში ფანტასტიური უპირატესობით – 96 პროცენტით – ქვეყნის პრეზიდენტი სააკაშვილი გახდა. მან მეფე დავით მეოთხის საფლავზე დადო საზეიმო ფიცი, რომ იბრძოლებდა საქართველოს ტერიტორიის აღდგენისთვის. სხვა სიტყვებით, ახლოვდებოდა მძიმე დრო მეზობელი აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთი ოსეთისთვის.

მილიონობით დოლარი შემოვიდა სახელმწიფო ხაზინაში, რომლებიც გამოყვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს არმიის განმტკიცებისთვის, როგორც ეს მოხდა ისრაელის შეიარაღებასთან დაკავშირებით.

შედარებით სტაბილური მშვიდობა გაგრძელდა 2004 წლის ივნისამდე, როდესაც კვლავ დაიწყო მკაცრი კონფლიქტები მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა შეეცადა შეეწყვიტა კონტრაბანდის ტრაფიკი და დაეხურა შავი ბაზარი სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიას შორის.

2004 წლის აგვისტოში სამხრეთი ოსეთის ძალები, რომლებიც იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის მოხალისე კაზაკების, ადიღეელებისა და ყაბარდოელების მხარდაჭერით, გმირულად უწევდნენ წინააღმდეგობას ქართველ თავდამსხმელებს რუსეთის დროული დახმარების მოლოდინში. სააკაშვილის სრულმა დამარცხებამ გააღიზიანა მისი ამერიკელი მოკავშირე, ვისი პრესტიჟიც დაეცა. ამას მოჰყვა თეთრი სახლის ხმამაღალი განცხადებები, რომელიც ბრალს სდებდა რუსეთს აგრესიაში, თანაც ამ ვერსიას მუდამ უჭერდნენ მხარს ოკეანის გაღმელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და დასავლელი დიპლომატები. მაგრამ დიმიტრი მედვედევის დიდმნიშვნელოვან განცხადებაში ნათქვამია: „რუსეთს არაერთგზის აღმოუჩენია დახმარება და მხარდაჭერა მცირე ხალხებისთვის, რომლებიც იმყოფებიან დამონებისა და განადგურების საფრთხის ქვეშ. ამას წინათ მოხდა ამგვარი მოვლენა, როდესაც სააკაშვილის რეჟიმმა განახორციელა სამხრეთი ოსეთის წინააღმდეგ დანაშაულებრივი აგრესია. რუსეთი ძალიან ხშირად ანადგურებდა იმათ ავანტურისტულ გეგმებს, ვისაც მსოფლიო მართვა სურდა. იგი ორჯერ იდგა დიდი კოალიციების სათავეში: მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც მან შეაჩერა ნაპოლეონის შემოჭრა და მეოცე საუკუნეში, როდესაც მან სრულიად გაანადგურა ნაცისტები, როგორც ომის დროს, ისე მშვიდობის პერიოდში, თუ სამართლიანი საქმე მოითხოვდა გადამწყვეტ მოქმედებებს, ჩვენი ხალხი ყოველთვის მიდიოდა დასახმარებლად“.

2008 წელს გარდა იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოვიდა დსთ-დან, მას დიდ უჯრაში უნდა გადაედო თავისი ამბიციები და სურვილები ოფიციალურად შესულიყო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

სამხრეთი ოსეთის მცხოვრებლებს სურთ ან დამოუკიდებლობა ან მიერთება მოძმე ჩრდილოეთ ოსეთთან. სამხრეთი ოსეთი, ისევე როგორც აფხაზეთი და დნესტრისპირეთი, აღიარეს რუსეთის ფედერაციამ, ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუმ.

შეერთებული შტატების საზიზღარი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს დესტაბილიზაციას კავკასიის სამხრეთ ფერდობზე, ზონაზე კონტროლის მოპოვების მიზნით, ჩაიშალა სამი წლის წინათ აგვისტოს ცხელ დღეებში. მსოფლიოზე ბატონობის ბოდვითი იდეა გადაიდო, წმინდა გიორგიმ კი არ უნდა დატოვოს მზრუნველობის გარეშე თავისი ხალხი.

RINASCITA

## დედამიწის ზურგზე



**„ფუკუსიმა-1“-ს უახლოვდება ძლიერი ტაიფუნი, – დანგრეულ ატომურ ელექტროსადგურს სარქველი გადააფარეს**

**სინომპტიკოსების ცნობებით, იაპონიისკენ მიმავალი ტაიფუნი „მა-ონი“ ამჯერად მოიცავს სადგურის ზონას, რასთან დაკავშირებითაც მასზე შეწყდა ყოველგვარი აღდგენითი სამუშაოები. დატბორვის თავიდან ასაცილებლად მესამე რეაქტორს თავზე გუმბათი გადაახურეს.**

* * *

**ავღანეთის პრეზიდენტის უახლოესი მრჩეველი ვახშმობის დროს დახვრიტეს**



**ხუთი მამაკაცი შეიჭრა ჯან მოჰამედ ხანის მრჩევლის სახლში კვირას. მათ დახვრიტეს დაცვა, შემდეგ მოკლეს სახლის პატრონი და მისი სტუმარი დეპუტატი მოჰამედ ხაშენ ვატანვალი. „ესენი არ ყოფილან თვითმკვლელები, ისინი შეიარაღებული იყვნენ“, — განაცხადა ავღანეთის თავდაცვის მინისტრმა სიდიკ სიდიკმა. სულ ახლახან პრეზიდენტის ბიძაშვილი მოკლეს.**

* * *

**ჩილეს დედაქალაქის მეტროში ყოფილმა პოლიციელმა მგზავრებს ცეცხლი გაუხსნა: ორი დაიღუპა, 5 დაიჭრა**

**45 წლის ყოფილი პოლიციელი, რომელმაც სროლები გახსნა, ამოვიდა ზევით და უახლოეს პარკში თავი მოიკლა. მისი მოტივები ჯერჯერობით უცნობია. მატარებლების მოძრაობა იმ ხაზზე, სადაც საგანგებო შემთხვევა მოხდა, შეჩერებულია.**



* * *

**ეკვადორში 21 კაცი დაიღუპა კონტრაფაქტული ალკოჰოლისგან. გამოცხადდა „მშრალი კანონი“**

**ამავე დროს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო სანიტარული სიტუაციის რეჟიმი. ლოს-რიოსის პროვინციის ტერიტორიაზე, სადაც ხალხი დაიღუპა, აკრძალულია აგრეთვე ქუჩებში მოძრაობა 22 საათის შემდეგ. წესრიგის დამცველები აწარმოებენ საეჭვოდ იაფი სასმელების მასობრივ კონფისკაციას.**



## თანამედროვე ისტორია

# დედამიწის მთავარი რევოლუციონერი

## არაბეთის რევოლუციების იდუმალი არქიტექტორი

**ტუნისში, ეგვიპტეში, ლიბიასა და სირიაში ბოლო დროინდელი მოვლენები, რომ იტყვიან, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავს. ანალიტიკოსები ამ მოულოდნელი რევოლუციების (ამბოხებების, აჯანყებების) მიზეზთა დადგენას ცდილობენ. ბევრს ჰგონია, რომ მთავარი მიზეზი დრომოჭმული ტირანების დანერგილი კორუფციაა, რომელსაც კიდევ მოუსავლიანობა დაერთო. ბრალს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ ადმინისტრაციასაც სდებენ, რომელიც თითქოსდა ამ ამბების უკან დგას... არადა, როგორც ჩანს, ამისთვის ნათლის მოფენა ერთობ საგულისხმო სტატიას შეუძლია „თავისუფლება – ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი იარაღია“.**

„– ჩვენ მეოთხედი საუკუნის წინათ ესპანეთში ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ დაწყებული რევოლუციების ეპოქაში ვცხოვრობთ. მაშინ ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ დიქტატურიდან დემოკრატიაზე გადასვლა ძალადობისა და სისხლისღვრის გარეშე იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ ესპანეთი დემოკრატიულ წყობილებაზე მშვიდად გადავიდა, მას პორტუგალია მიჰყვა... „ხავერდოვანი“ რევოლუციების მაგალითმა სსრ კავშირის სატელიტი ქვეყნები შთააგონა, რასაც შემდეგ თავად ყოფილი საბჭოთა კავშირიც აჰყვა. ბოლოს გლობალურმა დემოკრატიულმა რევოლუციამ აფრიკასა და აზიას, მერე ჩინეთსაც კი მიაღწია. და თითქმის ყველგან ამ რევოლუციურ ცვლილებებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დადებითი როლი შეასრულა.



მაიკლ ლედინი

11 სექტემბრის შემდეგ რევოლუცია სწრაფად მოედო ავღანეთს, შემდეგ – ერაყს, გარკვეული დრო უკრაინის გათავისუფლებას დასჭირდა, ბეირუთის „კედარების რევოლუციამ“ კი ლიბანში სირიის მარიონეტების მმართველობას მოუღო ბოლო. ამ პროცესმა წინ უნდა წაიწიოს და მასში მონაწილე ხალხს ყველანაირად მხარი უნდა დავუჭიროთ – ძირითადად პოლიტიკურად, ინფორმაციულად, ფინანსურად. თუმცა შეიძლება სამხედრო დახმარების გაწევაც. **ტირანების წინააღმდეგ ჩვენი მთავარი იარაღია თავისუფლება, რომელიც ამჟამად დემოკრატიული რევოლუციის ფრთებით ვრცელდება“.**

დაგვეთანხმებით, ყოველივე ზემოთ თქმული ძალიან აქტუალურია, მით უმეტეს რომ ეს ბარაკ ობამას ინაუგურაციამდე ოთხი წლით ადრეა დაწერილი და მიუხედავად ამისა, რომ იტყვიან, „ერთი ერთზე ჯდება“! რაც მთავარია, რევოლუციების მისამართებია შეუცდომლად დასახელებული! კადაფი, როგორც ჩანს, ბოლო დღეებს ითვლის, სირიელი ასადი დიდი ხნის დამხობილი იქნებოდა, რომ არა რუსები, სულ უფრო მეტად იძაბება ვითარება ირანში...

**მაშ, ვინაა ის კაცი, რომელმაც ჯერ კიდევ ექვსი წლით წინათ განჭვრიტა ის გზა, რომლითაც დღეს-დღეობით ობამა მიდის? ვინ არის სინამდვილეში არაბეთის რევოლუციების „არქიტექტორი“?**

ამ „წყნარ ამერიკელს“ **მაიკლ ლედინი** ჰქვია. მკითხველთა უმრავლესობას ეს გვარი ნამდვილად არაფერს ეუბნება. თუმცა, საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ სწორედ ლედინი იყო მსოფლიოში №1 ტერორისტი „კონსტრუქტორი“. ოფიციალურად მას ერთობ მორიდებული თანამდებობა უკავია – იგი ნაკლებად ცნობილი **ამერიკის მეწარმეთა ინსტიტუტის საზოგადოებრივი პოლიტიკის საკითხებში მთავარი მეცნიერი თანამშრომელია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ აზრას ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ანალიტიკური ცენტრია ამოფარებული, რომელიც კერძო მესაკუთრეობის, ასევე უმნიშვნელოვანესი კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუტების დაცვასა და გაძლიერებაზე, გარდა ამისა ძლიერი საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული თავდაცვის გატარებაზეა ორიენტირებული.**

ამ არასამთავრობო ორგანიზაციის გაქანებასა და სიმძლავრეზე წარმოდგენის შექმნა მარტო მისი სპონსორების ჩამონათვალით შეიძლება – ესენია „მაიკროსოფტი“, „მოტოროლა“, „ამერიკენ ექსპრესი“, „შევრონი“, „ექსონ მობილი“, „ეიტე ენდ ტე“ და მსოფლიო ბიზნესის სხვა „ვეშაპი“.

– სინამდვილეში ეს ჩუმი კაცი ბოლო წლების მანძილზე უდიდეს ფარულ როლს ასრულებს მსოფლიო პოლიტიკაში, – აცხადებს ინტერპოლის რუსეთის ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელი გენერალი ვლადიმერ ოვჩინსკი. – კონსპიროლოგიასა და შეთქმულებათა კონსტრუქტორებზე რომ ვლაპარაკობთ, მაიკლ ლედინის სახელი პირველ რიგში უნდა ვახსენოთ. მისმა სახელმა ჯერ კიდევ 80-იან წლებში გაიჟღერა, როცა იტალიური მასონური ლოჟის „P-2“-ის ხელმძღვანელი ლიჩო ჯელი მოკლეს. ლოჟას ნეოფაშისტებთან მჭიდრო კავშირები ჰქონდა და, ზოგიერთი ცნობით, იტალიაში მემარჯვენე გადატრიალებას ამზადებდა. მაიკლ ლედინი, ფაქტობრივად, ლიჩო ჯელის კურატორი იყო. იტალიის პრემიერ-მინისტრის ალდო მოროს გატაცებასა და მკვლელობასთან დაკავშირებული გამოძიების დროს მოპოვებულ მასალებში მაიკლ ლედინის მიმართ პირდაპირი სამხილები იყო ამ ამბავში აქტიურ მონაწილეობასთან დაკავშირებით. მაშინ იგი ქვეყნიდან იტალიური სპეცსამსახურების თანამშრომლებმა გაიყვანეს.

გარდა ამისა, ლედინი იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრე საერთაშორისო კარტელს კურირებდა, რომელიც „ირან-კონტრასის“ სკანდალის საქმესთან დაკავშირებით გახდა ცნობილი. მაიკლ ლედინი ჯორჯ ბუშ-უფროსის პრეზიდენტობის დროს სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მრჩეველი იყო. როცა ჯორჯ ბუშ-უმცროსს ჰკითხეს, თუ როგორ არ შეეშინდა ერაყში ომის დროს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელობის შეცვლა, მან უპასუხა, რომ თავისი პირადი დაზვერვა ჰყავს, ვისთან შედარებითაც ლენგლის ხალხი მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. თან დასძინა, რომ მისი პირადი დაზვერვა – ეს ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ჩეინია, რომელმაც, თავის მხრივ, შეკითხვაზე, თუ საიდან იღებს ინფორმაციას, უპასუხა, რომ მისმა საუკეთესო მეგობარმა მაიკლ ლედინმა „ქვეყანაზე ყველაფერი იცის“. სხვათა შორის, ჩეინის ცოლი და ლედინი ძველებურად ერთად მუშაობენ ამერიკის მეწარმეობის ინსტიტუტში. ერთი პერიოდი მაიკლი ქეთრინ-კლერ ჩუმაჩენკოს, ვიქტორ იუშჩენკოს ცოლის უფროსი იყო, რომელიც შემდგომ, „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შედეგად, უკრაინის პრეზიდენტი გახდა. ბოლო დროს კი ლედინი გამოჩნდა ერაყთან ომის დაწყებამდე.

გენერალი ოვჩინსკი ამბობს, რომ, მისი აზრით, ვაშინგტონელი „რუხი კარდინალი“ პირადად ამუშავებდა ოპერაცია „რევოლუციის“ ასპექტებს. **მისი ამოცანაა ვითარების ისეთნაირად წარმართვა, რომ მერე მისი გაჩერება შეუძლებელი იყოს. ამასთან, ახლო აღმოსავლეთში მისი პერმანენტული რევოლუციის ფილოსოფიური და პოლიტოლოგიური კონცეფცია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაცილებით ადრე მიიღეს, ამიტომ იქ დაწყებულ ომს ახლა ვერავითარი გაერო ვეღარ შეაჩერებს.**

თავად მაიკლ ლედინი პირველ ყოვლისა, იდეის კაცია. პერმანენტული (უწყვეტი) რევოლუციის იდეა მან თავისი კუმირის ლევ ტროცკისგან აიღო, ოღონდ „სოციალისტურის“ მაგიერ მას „დემოკრატიული“ უწოდა. თავად ტროცკიმ კი ეს იდეა ბრიტანეთის სპეცსამსახურების თანამშრომლებისგან გადმოიღო, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ საამისოდ, ისლამს რომ კონსოლიდაციის შესაძლებლობა არ ჰქონდეს, აღმოსავლეთში მუდმივად არასტაბილობის მდგომარეობის შენარჩუნებაა საჭირო.

**დავით მერიშვილი**




## გამოიცა

# განსაკუთრებული მნიშვნელობისა და მეცნიერული ღირებულებისა

**მეცნიერულ-პოპულარული სერიის „ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურის“ გამოცემით საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმეს უძღვება (საშვილიშვილოს იმ „შესწორებით“, რომ როგორც არ უნდა განვითარდეს ტექნიკა ვებგვერდიან-კომპიუტერიან-ინტერნეტიანა, ჩვენს შვილიშვილებს შერჩებათ წიგნის სიყვარული...).**

პროექტის ავტორი გახლავთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამილა ცაგარეიშვილი, პროექტის რეალიზება (სერიის გამოსვლა) ხდება სახალხო მხატვრის, აკადემიკოს ზურაბ წერეთლის ფინანსური მხარდაჭერით.




ხსენებულმა ფონდმა, ესოდენ სასარგებლო საქმიანობის გაგრძელებით, ახლახან გამოაქვეყნა თამაზ გამყრელიძის წიგნი „ძველი ქართული ასომთავრული მწერლობა“.

თანამედროვეობის გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ფუნდამენტური მონოგრაფია „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა“ ორჯერ – 1989 და 1990 წლებში, დაისტამბა აკადემიკოს აკაკი შანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით და უმალვე მიიპყრო ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა გამორჩეული ყურადღება.

მას აქეთ 20-ზე მეტი წელია გასული, ეს წიგნი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული, ცხოველ საზოგადოებრივ ინტერესს კი კვლავ ინარჩუნებს.

„ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა“ აღნიშნული ორი გამოცემიდან არსებითად განსხვავებული, მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომია, ფონდის სერიაზე „მორგებული“. ის არის ხსენებული ფუნდამენტური მონოგრაფიის შემოკლებული, უახლესი ლიტერატურის მომცველი და ავტორის შემდგომი მრავალწლიანი ძიებების შედეგთა ამსახველი ვარიანტი. წლევანდელ ამ გამოცემას წინასიტყვაობად დაერთო დიდი აკაკი შანიძის მაშინდელი წერილი, თუმცა საგრძნობლად შეკვეცილი; მაშინდელი, მაგრამ საგულისხმო მეცნიერული დასკვნებით დღესაც თანადროული.

სერიის „დედობილი“, პროფესორი თამილა ცაგარეიშვილი პატივად მიიჩნევს ბატონი თამაზის ყურადღებასა და თანადგომას ახლადდაარსებული სერიისადმი, რამაც მოგვცა ფართო საზოგადოებისთვის უძველესი ქართული დამწერლობის შექმნის ისტორიის, მეცნიერულად დასაბუთებულისა და რეალურის, კიდევ ერთხელ მიწოდების საშუალება, რაც აგრე სანუკვარი თემაა ქართველი ხალხისთვის“...

სპეციალისტთა აზრით, თამაზ გამყრელიძის ნაშრომში სხვადასხვა კუთხითა და ღრმა დამაჯერებლობითაა გაშუქებული დამწერლობის წარმომავლობა, ადგილი და ეროვნული ღირებულება უძველეს წერილობით სისტემათა ტიპოლოგიაში. აი, რას წერდა ბატონი აკაკი შანიძე თავის დროზე: „თამაზ გამყრელიძის დებულებანი მისაღებია და გასააზრებელი. ახლა, როცა სხვადასხვა „თეორიას“ თხზავენ ქართული ანბანის შესახებ, იმისი გამოკვლევა, სათანადო მეცნიერულ მეთოდზე დამყარებული და ფართო შედარებით-ტიპოლოგიური მასალით განმტკიცებული, განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და მეცნიერულ ღირებულებას იძენს“.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ „თეორიასთან“ დაკავშირებით შენიშნავს „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის“ პარაგრაფში, რომელიც ამ დამწერლობის შემქმნელის ვინაობას ეხება, ბატონი თამაზი: „სომხური ისტორიული წყაროები ძველი ქართული ანბანის შექმნას (სომხურთან და კავკასიის ალბანურ დამწერლობასთან ერთად) მესროპ-მაშთოცს მიაწერენ; მაგრამ ამავე ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ მესროპ-მაშთოცი თვით არ იყო დაუფლებული ქართულს, რაც სრულიად გამორიცხავს შესაძლებლობას მის მიერ ქართული ანბანის შექმნისას“...

ფრიად საგულისყურო განცხადებაა, განსაკუთრებით ზოგიერთი სომეხი კალმოსანისათვის, პირდაპირ ტყავიდან რომ ძვრებიან ქართველებზე აღმატების დასამტკიცებლად...

...ეგებ ზედმეტიც იყოს ჩვენი გაზეთის ინტელექტუალური მკითხველისათვის იმის შეხსენება, რომ მსოფლიო სახელის მეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი შესანიშნავი ნაკვლევი აღმოსავლეთმცოდნეობის, თეორიული ენათმეცნიერების, ძველი აღმოსავლური ენების, ინდოევროპული, სემიტური, ქართველური ენების სტრუქტურისა და თეორიის, კულტურის ისტორიის საკითხებში; რომ ის გახლავთ საზღვარგარეთის ცხრა(!) მეცნიერებათა აკადემიის წევრი, იმათ რიცხვში ამერიკის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიისა, რომლის წევრობაც საყოველთაოდ აღიარებულია უმაღლეს პატივად, რაც კი შეიძლება საერთოდ მიიღოს მეცნიერს.

...იმ მრავალი პირველხარისხოვანი მკაცრად მეცნიერული გამოკვლევის შემდეგ „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა“, თუ არ ვცდებით, თამაზ გამყრელიძის პირველი შესანიშნავი მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომია...

**თამაზ ებანოიძე**

**კალათბურთი**

# ბრავო!



**ერთ დროს დავით უსტიაშვილის გაწვრთნილი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის „ა“ დივიზიონში თამაშობდა, მაგრამ ელიტაში ადგილი ვერ შეინარჩუნა და „ბ“ დივიზიონში დაქვეითდა.**

წლეულს ახალგაზრდა „ჯვაროსნები“ ბოსნიაში „უმაღლესში“ დაბრუნების იმედით გაემგზავრნენ და მიზანთან ახლოს არიან, რაც იმავე თავკაცის, აგრეთვე გუნდის ლიდერის – თორნიკე შენგელიას დიდი დამსახურებაა.

თავად განსაჯეთ – ბელგიის „პეპინსტერის“ ჩვენებურმა ლეგიონერმა 4 შეხვედრაში პარტნიორებს 130(!) ქულა შესძინა – შვეიცარიასთან – 31 (82:74), მაკედონიასთან – 40 (87:75), პოლონეთთან – 26 (76:69) და უმთავრეს ფავორიტ ესტონეთთან – 33 (88:87), ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუმინელებთან უკანასკნელი მატჩის შედეგის მიუხედავად ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და მეორე ჯგუფურ რაუნდში ბალტიისპირელებთან მოპოვებული ქულა გადაჰყვათ.

გათამაშების დებულების თანახმად, იქ საკმარისია ორიდან ერთი ბრძოლის მოგება და ჩვენი თანამემამულენი ნახევარფინალის საგზურს დაეუფლებიან, აღნიშნულ ეტაპზე წარმატება კი პროგრამა-მაქსიმუმის შესრულების ტოლფასი იქნება.

**დღეს ტურნირის მონაწილენი ისვენებენ.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

**პლაჟის ჭიდაობა**

# ქვიშა, ზღვა, ჭიდაობა და სხვა

**ბათუმში დამთავრდა მსოფლიოს მე-5 ჩემპიონატი პლაჟის ჭიდაობაში. საასპარეზოდ 14 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, შეჯიბრება საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა.** თავი ისახელეს ქართველმა ფალავნებმა. უფროსებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ალეკო ამინაშვილი (70), ბექა ჭელიძე (90), ლევან ბერიანიძე (+90) და ლია გვიანიძე (მძიმე წონა). მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ ირინე ლეონიძე (მძიმე წონა) და შორენა შარაძე (70), დარინა აბულაძემ (60) კი ბრინჯაო დაიმსახურა.

ახალგაზრდებმა 3-3 ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო მოიხვეჭეს. ყველა მეტოქე დაამარცხეს და ჩემპიონები გახდნენ ბიჭიკო აბუსერიძე (60), ზვიად მეკეიძე (70) და სანდრო ამინაშვილი (80), მეორე ადგილები დაიკავეს სოსო ივანიშვილმა (60), ჯონი ქადაგიძემ (80) და ვეფხვია ჯიჯავაძემ (+80), ხოლო ირაკლი მოსიძე (70), რევაზ ივანიშვილი (80) და ნათია დიასამიძე (60) მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

საქართველოს სპორტულ ყულაბას 6 მედალი ჭაბუკებმა შესძინეს: ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი გურამ დავითაშვილმა (60), ასლან მეკეიძემ (70) და ნოდარ კურტანიძემ (+70). უმაღლესი სინჯის ჯილდომდე თითო მოგება დააკლდათ ვახტანგ მთიულიშვილსა (60) და ჰუსეინ ირემაძეს (+70), ხოლო შოთა ფარტენაძე (60) მესამე იყო.

გუნდურ ჩათვლაში საქართველომ იმარჯვა, მეორე-მესამე ადგილებზე ყაზახეთი და აზერბაიჯანი გავიდნენ.

ბათუმში სტუმრად იყო ჩამოსული ფილას პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი, რომელმაც მასპინძლებს დაუდასტურა, რომ იგი მხარს უჭერს ჭიდაობაში ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის თბილისში გამართვის იდეას, თუმცა ეს საკითხი საბოლოოდ წლეულს სექტემბერში სტამბოლის მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას გადაწყდება. საქართველოს დედაქალაქს კონკურენციას უნგრეთი, თურქეთი და რუსეთი გაუწევენ.

**ლაშა დიდია**

**მინისტერიალი – 2011**

# წააგეს, მაგრამ მოიგეს



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამარჯვებით დასრულდა მისივე ორგანიზებით გამართული II მინისტერიალი სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებების 20 გუნდის მონაწილეობით სპორტის 8 სახეობაში. საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი თავდაცვის სამინისტრომ დაიკავა, ხოლო მესამე – შინაგან საქმეთა სამინისტრომ.**



**გაუწყებთ დასკვნითი შეხვედრების შედეგებს.**

**კალათბურთი**

**ფინალი.** შსს – სპორტი და ახალგაზრდობა 62:46.

**ფეხბურთი**

**ფინალი.** შსს – სპორტი და ახალგაზრდობა 2:1 (დ.დ.).

**საუკეთესო მეკარე** – ზაალ ჩიტალაძე, **საუკეთესო თავდამსხმელი** – ბესო ზოიძე (ორივე – სპორტი და ახალგაზრდობა).

**გიორგი შოთაძე**

**რაგბი**

# ინგლისს ვერ გაუმკლავდნენ

**რუმინეთის დედაქალაქმა შვიდკაცა რაგბიში ევროპის გრან-პრის სერიის ბოლო – მეოთხე ეტაპს უმასპინძლა. „ბორჯღალოსნები“ ამჯერად უკეთ გაისარჯნენ, ვიდრე ბარსელონაში**. ქართველთა შვიდკაცამ ზედიზედ სძლია იტალიას (19:0), უკრაინას (12:7) და რუმინეთს (21:12), თუმცა ვერაფერს გახდა საფრანგეთთან (14:21) და პორტუგალიასთან (0:21). მეხუთე ადგილისთვის პაექრობაში ჩვენებმა უელსელები დაამარცხეს 26:5, ინგლისთან კი 7:29 წააგეს და მე-6 ადგილს დასჯერდნენ. ინგლისის გარდა, საქართველოს ნაკრებს პორტუგალიამ (I ადგილი), ესპანეთმა (II), საფრანგეთმა (III) და რუსეთმა (IV) გაუსწრეს.

„ბორჯღალოსნებმა“ ბუქარესტში ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გიორგი კალმახელიძე, ბექა ბიწაძე, გიორგი შკინინი, ირაკლი გეგენავა, ალექსანდრე ნიჟარაძე, შალვა მახარაშვილი, დავით ჩიტიძე, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ირაკლი ღვინჯილია, ლევან გოგოლაშვილი, გიორგი თხილაიშვილი, გიორგი ჯიმშელაძე, გიორგი კაჭარავა.

* * *

**სანამ საქართველოს შვიდკაცა რაგბი ევროპის გრან-პრის სერიის გათამაშებით იყო დაკავებული, „ბორჯღალოსანთა“ ეროვნული ნაკრები მთავარი მწვრთნელის – რიჩი დიქსონის ხელმძღვანელობით შინ მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებოდა, ეს შეჯიბრება კი 14 სექტემბრიდან ახალ ზელანდიაში გაიმართება. B ჯგუფში ჩვენი გუნდის მატჩების განრიგი ასეთია: 14 სექტემბერი.** საქართველო – შოტლანდია, **18 სექტემბერი.** საქართველო ინგლისი, **28 სექტემბერი.** საქართველო – რუმინეთი, **2 ოქტომბერი.** საქართველო – არგენტინა.



დიქსონის შეგირდები მზადების მეორე ეტაპს, ანუ საწვრთნელ შეკრებას კანში განაგრძობენ. იქვე რამდენიმე საკონტროლო შეხვედრასაც გამართავენ და 3 სექტემბერს საფრანგეთიდანვე გაემგზავრებიან ახალ ზელანდიაში.

**ლექსო ცინცაძე**

**ფეხბურთი**

# ფავორიტთა დამხობა

**პერუ-ურუგვაი, პარაგვაი-ვენესუელა. ნახევარფინალისტთა ასეთ წყვილებს კოპა ამერიკის დაწყებამდე ალბათ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ფეხბურთი, დაგვეთანხმებით, სწორედ სენსაციებით ფასობს.**

სხვა საქმეა ასეთი მოულოდნელი შედეგების სიმრავლე, რაშიც დამნაშავენი თვით აწ უკვე ყოფილი ფავორიტები არიან.

დიახ, მასპინძელ არგენტინასა და ბრაზილიას თითქოს ოპტიმალური შემადგენლობები ჰყავდათ, სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ მეტოქეთა კართან, მაგრამ სერხიო ბატისტასა და მანუ მენეზესის მცდელობის მიუხედავად, დიდი მიზნების მისაღწევად მებრძოლი გუნდები ერთ მუშტად მაინც ვერ შეკრეს. ასე რომ, „მუნდიალ-2014“-ამდე სამხრეთამერიკული გრანდების თავკაცებს დიდი ძალისხმევის გამოვლენა დასჭირდებათ, მათ მრავალრიცხოვან ქომაგთა ამბიციების შესაბამისი ნაკრებები რომ ჩამოაყალიბონ.

**პერუ – კოლუმბია 2:0** (დამატებით დროში), **ურუგვაი – არგენტინა – 1:1** (პენალტებით – 5:4), **პარაგვაი – ბრაზილია** 0:0 (პენალტებით – 2:0), **ვენესუელა – ჩილე** 2:1.

* * *

**ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი.** იაპონია – აშშ 3:1. **მატჩი III ადგილისთვის.** შვედეთი – საფრანგეთი 2:1.

**მანუჩარ გიორგაძე**



**ინტერნეტიდან**

## ათწლეულის ავკაცი




**ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ მსოფლიო ფეხბურთის შტაბის – ფიფას თავკაცი ზეპ ბლატერი ბოლო ათწლეულის ცნობილ ადამიანთა შორის ბრიტანულმა ტელეარხმა Syty უდიდეს ავკაცად მიიჩნია.**

ტელეარხის ხელმძღვანელობამ მოაწყო გამოკითხვა, თუ ვინაა ბოლო ათწლეულის მთავარი ბოროტმოქმედი. ანტიგმირებს შორის „გამარჯვებული“ ფიფას პრეზიდენტი გამოვიდა, დააგროვა რა ხმების 10 პროცენტი. ალბათ იცით, რომ ამის მიზეზი გახდა ფეხბურთში 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლის არჩევნებში ინგლისის დამარცხება, რასაც, პირველ რიგში, სწორედ ბლატერს აბრალებენ.

„გამარჯვებულთა“ შორის მესამე ადგილზე გამოვიდა ფეხბურთელი ეშლი კოული, ხოლო მეოთხეზე – მეგოლფე ტაიგერ ვუდსი. ორივემ ხომ თავიანთ ცოლებს უღალატეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეიტინგის ნამდვილი გმირები გახდნენ აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი და პრინცი უილიამი.

## ტაიგერის შემცვლელი იპოვა

**ტაიგერ ვუდსის ყოფილმა ცოლმა ელინ ნორდგრინმა ქმრის შემცვლელი იპოვა. როგორც ამერიკული გაზეთები წერენ, ისაა ამერიკელი მილიარდერის ვაჟიშვილი – ჯეიმი დინგმანი.**

ალბათ, გახსოვთ, ჩვენც რამდენჯერ დავწერეთ ამაზე, რომ ტაიგერის მხრივ მრავალი ღალატის გამო ელინი თავს დამცირებულად გრძნობდა. გოლფის ვარსკვლავს ხომ 14 საყვარელი აღმოაჩნდა და სექსისადმი მისწრაფებაც უზომო ჰქონდა.

ლამაზმანმა განქორწინება მოითხოვა და ვუდსისგან 100 მილიონი დოლარიც მიიღო. ახლა კი ორი შვილის დედა თავს ბედნიერად გრძნობს. მილიარდერის ვაჟიშვილთან ლამაზმანი უკვე რამდენჯერ ნახეს. ამბობენ, რომ მათ ერთმანეთის მიმართ ძლიერი გრძნობები ამოძრავებთ. თუმცა ჯეიმს ადრე რომანი ჰქონდა პრინცესა მადლენთან და მსახიობ ქალ ბრიჯიტ მაინაჰამთან.



## ეს ყველას აინტერესებს

ალბათ, ყველას გსმენიათ ნობელის პრემიის შესახებ. ყოველწლიურ საერთაშორისო პრემიას, სახელწოდება მისივე დამაარსებლის, ინჟინერ-გამომგონებლის ალფრედ ნობელის პატივსაცემად ეწოდა. დაჯილდოების ცერემონიალი ყოველწლიურად იმართება ოსლოში ან სტოკჰოლმში.

შნობელის პრემია, იგივე ანტინობელის პრემია, (ინგლ.IgNobel Prinzed ესაა პაროდია პრესტიჟული საერთაშორისო ნობელის პრემიისა. პრემიის ლაურეატები არიან ადამიანები, რომელთა მიღწევები ჯერ გაგაცინებთ, შემდეგ კი დაგაფიქრებთ (first make people laugh, and then make them thinkd.

შნობელის პრემიებით დაჯილდოება ხდება ზუსტად იმ დროს, როდესაც ნამდვილი ნობელის პრემიის დაჯილდოება მიმდინარეობს. დაჯილდოების ცერემონიალი იმართება ჰარვარდში. შნობელის პრემიის დამაარსებელია მარკ აბრაჰამი.

# შნობელის პრემია



**2010 წელი**

შნობელის პრემია სამედიცინო სფეროში გადაეცა ჰოლანდიელ, ამსტერდამის უნივერსიტეტელ სიმონ რიტველდს და მის გუნდს. ისინი ამტკიცებენ, რომ ასთმის მკურნალობა შესაძლებელია „ამერიკულ მთებზე“ სეირნობისას.

**2009 წელი**

პრემია სამედიცინო სფეროში მიიღო ამერიკელმა ექიმმა დონალდ უნგერმა, რომელიც ყოველდღე, 60 წლის განმავლობაში, მარცხენა ხელზე ძვლებს იმტვრევდა. ამით ცდილობდა შეემოწმებინა გამოიწვევდა ეს ართრიტს, თუ არა. „და აი, ერთ დღეს, 60 წლის შემდეგ, რომ გავიღვიძე, შევხედე ჩემს მარცხენა ხელს და ართრიტის ვერანაირი კვალი ვერ აღმოვაჩინე“ —ჰყვება 83 წლის უნგერი.

**2009 წელი**

უკრაინელმა ელენა ბოდნარმა, რაფაელ ლიმ და სანდრა მარიჰანმა გამოიგონეს ბიუსტჰალტერი, რომელიც რამდენიმე წამში აირწინაღად გადაიქცევა. საინტერესოა ის, რომ ერთი ბიუსტჰალტერისგან ორი ნიღაბი კეთდება. ერთი თავად მფლობელისათვის და ერთიც ვინმე გამვლელისთვის ან ახლომყოფისათვის. ბოდნერმა განაცხადა, რომ ასეთი ბიუსტჰალტერის გაკეთების იდეა დაებადა ჩერნობილში ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ.

**2007 წელი**

შნობელის პრემია გადაეცათ ბრაიან ვიტკომბმსა და დენ მეიერს, სტატიისთვის „ხმლის ყლაპვა და მისი გვერდითი მოვლენები“.

**2006 წელი**

ფრენსის ფრესმაირი, ფლორიდის უნივერსიტეტის საავადმყოფოდან, დაჯილდოვდა პრემიით. იგი ამტკიცებდა, რომ სლოკინისგან თავს დააღწევთ „კუჭნაწლავის პირდაპირი მასაჟის“ საშუალებით.

**2005 წელი**

ამერიკელმა გრეგ მილერმა მედიცინის დარგში მიიღო პრიზი. მან შექმნა კვერცხის პროთეზი ძაღლებისთვის. ექსპერიმენტები დაიწყო ათი წლის წინათ, როტვეილერზე, რომელსაც ერქვა მაქსი.

**2004 წელი**

სტივენ სტაკმა და ჯეიმს გუნლაჰმა შეისწავლეს ქანთრი მუსიკის გავლენა თვითმკვლელობაზე.

**2002 წელი**

პრემია მიიღო ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯის ფსიქოლოგიის პროფესორმა კრის მაკმანუსმა, იგი ამტკიცებდა, რომ ანტიკური ქანდაკებების სასქესო ორგანოები ასიმეტრიული იყო.

**2001 წელი**

პიტერ ბარსმა, მაკგილის უნივერსიტეტიდან, მიიღო შნობელის ჯილდო ტრავმატოლოგიურ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიისათვის — „ქოქოსის ჩამოვარდნით გამოწვეული ჭრილობები“.

**2000 წელი**

პრემია ქიმიაში მიიღეს პიზისა და კალიფორნიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, მათი აზრით, რომანტიული სიყვარული არაფრით განსხვავდება მძიმე ნერვული აშლილობის მანიაკალური ტიპისგან.

**1994 წელი**

ჯილდო სამედიცინო სფეროში გაიყო ორად. პირველი ნაწილი გადაეცათ დოქტორ დარტსა და გუსტაფსონს, დასაბუთებული მოხსენებისთვის „ელექტროშოკის არაეფექტურობა, ჩხრიალა გველის შხამით მოწამლულთა მკურნალობისას“. პრემიის მეორე ნაწილი წილად ერგო პაციენტ X-ს, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ თანამშრომელს, ჩხრიალა გველმა მას 14-ჯერ უკბინა და შემდეგ ელექტროშოკურ თერაპიასაც გადიოდა.

**ნინო კოჭლამაზაშვილი**

Presa.ge

## გამოსათხოვარი

# დედაენის ქომაგი და ჭირისუფალი



ქართულ ენას მისი ერთ-ერთი უპირველესი ქომაგი და ჭირისუფალი გარდაეცვალა... ვუსამძიმრებ ქართულ ენას ოტია იოსელიანის გარდაცვალებას!..

დიახ, ოტია იოსელიანი იყო უპირველესი მზრუნველი, ქომაგი და ჭირისუფალი ქართული ენისა!..

რამდენიმე წლის წინათ, ხელისუფალის ყოვლისშემძლე მარჯვენა ავად რომ მისწვდა დედაენას — გაუქმდა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, ენის პალატა, დაიხურა რადიო და ტელეგადაცემები და სხვა, მაშინ დაარისხა ზარები ოტია იოსელიანმა „ქუდზე კაციო!“ (წერილი ათიოდე ჟურნალ-გაზეთმა გადაბეჭდაძ...

უფრო ადრე გვაფრთხილებდა: „ეროვნულ ენას საიდანაც ქარი მოუბერავს, იქიდან უნდა ჩამოეფარო, რომ ცივი ნიავი არ მიეკაროს, არ გაგრილდეს, ნაუჟმურევი არ შეეყაროსო“...

ოტია იოსელიანს გულს უკლავდა მწარე რეალობა — „იმდენი მხრიდან უბერავს ქარი, შევძლებთ კი ყველა მხრიდან დაცვას დედაენისას? ვეყოფით კიო?“ ეს „ქარის მობერვა კი არა, ქარიშხლის და ქარბორბალას ამოვარდნააო“!..

და იბრძოდა ოტია იოსელიანი სიტყვით და საქმით; „არ ვივარგებთ ჩვენ ასე დაშორიშორებული, ასე გათითოკაცებულიო“, — გულისტკივილით შემოგვძახოდა და ერთიანობისაკენ მოგვიწოდებდა; მამულის, ენისა და სარწმუნოების დაცვისაკენ მოგვიწოდებდა!

სასოწარკვეთილი შესჩიოდა ძლიერთა ამა სოფლისათა — „რას უშვებით თქვენ ჩემს ქვეყანას, ჩემს ენასო!..“

ეს თქვენი შეგონებანი, თქვენი შეძახილები, თქვენი მოწოდებანი ანდერძად გვრჩება, ბატონო ოტია! თქვენი წყალობით, თქვენნაირების წყალობით, ბატონო ოტია, ქართველი კაცის ცხოვრება „დედაენით დაიწყო და დედაენით დამთავრდება!“ ყველა ჩვენგანის ლოცვად უნდა იქცეს თქვენი ვედრება, ბატონო ოტია:

„ღმერთო, ჯვარი დასწერე ჩვენს ენას და იგივე „ჯვაროსნები“ ვიქნებით, ენის სიწმინდისთვის მებრძოლი ჯვაროსნები, მოლაშქრე-ჯარისკაცებიო“, რომ ბრძანებდით.

ღმერთმა გისმინოთ, ბატონო ოტია!

**გიორგი გოგოლაშვილი**

# ქვეყნისთვის დარდისა და ზრუნვის უფლება გქონდა

ჩემო მეგობარო და სულით ახლობელო ადამიანო — ძვირფასო ოტია! დიდი ხანია, გიცნობდი. შენ ჩემთვის იდეალი, სამშობლოსათვის მოყვასი, ეროვნული სულით გაჟღენთილი, უპატიოსნესი, უსპეტაკესი და პირში მთქმელი ადამიანი ბრძანდებოდი, რომელსაც უზომოდ გიყვარდა შენი საქმე — ლიტერატურა, რითაც დიდი სიკეთე გაუკეთე საქართველოს სახელოვან კინოს, თეატრს, საყვარელ მკითხველს. გარდა ამისა, ჩემო მეგობარო, შენ იყავი, ვაი რომ იყავი, სოფლისთვის ამაგდარი, მოჭირნახულე პიროვნება, ყოველივე აქედან გამომდინარე მოპოვებული გქონდა ქვეყნისათვის დარდისა და ზრუნვის უფლება.

არ მავიწყდება თბილისის სამების საკათედრო ტაძარში შენი პირველი სტუმრობა. რა თქმა უნდა, გაიხარე ტაძრის ხილვით, მიმოიხედე ირგვლივ და იმავწამს მოისურვე შენი ვაჟიშვილის ხელით სოფლიდან სამებისათვის საინტერესო ჯიშის ხეთა გამოგზავნა. სიტყვა საქმედ იქცა, დღეს ის ნერგები ალამაზებენ ტაძრის ტერიტორიას. გარდა ამისა, ისიც მითხარი, ჩემს შვილს ფუტკარი უყვარს, ეკლესია ვინ ნახა სანთლის გარეშეო. მახსოვს, როგორ გულიანად მონაწილეობდი სამეგრელოში ტერენტი გრანელის ძეგლის დადგმაში და ა. შ. და ა. შ.

ჩემო კარგო, შენ სადაც ხელი მიგიწვდებოდა, ყველგან ცდილობდი არავისთვის და არაფრისთვის შენი ზრუნვა და ყურადღება არ მოგეკლო.

ამიტომაცაა, რომ დღეს შენს გახსენებაზე საქართველოში უამრავი ადამიანი თვალცრემლიანია.

მათ შორისაა ჩემი ოჯახიც...

მძიმე ავადმყოფობის გამო შორიდან უნდა გამოგემშვიდობო... გვაპატიე...

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი კეთილშობილი სული.

*ოჯახის სახელით ირაკლი ანდრიაძე*

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

მეუღლე ნუცა თევზაძე, შვილები მანანა, სოფიკო, სიძეები ირაკლი ფიცხელაური, რომან რეხვიაშვილი, შვილიშვილები თეონა, ქეთი, ლაშა-გიორგი ფიცხელაურები, გიორგი, დავით, ნიკოლოზ რეხვიაშვილები, დედმამიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ თედაოზის ძე მუმლაძე**

პანაშვიდი: 19, 20 VII, 17 სთ. დაკრძალვა 21 VII, 15 სთ. თბილისი, პეკინის გამზ.25, III სადარბაზო, V სართული.

ქეთევან მელექსიშვილი, ნუგზარ, ილია, მაია, ნათია, მარიკა დათუაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობრებს — ცარო და გივი ინანაშვილებს დედისა და სიდედრის

**ქეთევან გოგილაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

ია, როზა კუხალაშვილები დიდი გულისტკივილით იუწყებიან მამიდაშვილის

**მამია ილიას ძე დგებუაძის**

გარდაცვალებას. მისამართი: ვაჟაფშაველას №60, დაკრძალვა 19 VII, 15 საათზე.

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

*რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.*

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება?**

**ალექსანდრე გოგორიშვილი**

**პასუხი:** თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება; წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით.

აქვე გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, რომ დამსაქმებელთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

**კითხვა: ვინაიდან ეს საკითხი ჩემს დაწესებულებაში სადავოდ გამიხადეს, გთხოვთ განმიმარტოთ, კანონის თანახმად რა დროიდან წარმოიშობა შრომითი ურთიერთობა?**

**ოთარ ბოგვერაძე**

**პასუხი:** შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

* * *

**კითხვა: რა შემთხვევაში მიიჩნევა დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა შრომითი ხელშეკრულების პირობების არსებით შეცვლად და რა შეიძლება იყოს მუშაკის მივლინებაში გაგზავნის საფუძველი?**

**ნაზი მამფორია**

**პასუხი:** მივლინება არის სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა;

აქვე გაცნობებთ, რომ შრომითი ხელშეკრულების პირობების არსებით შეცვლად მიიჩნევა დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა, თუ მივლინების პერიოდი აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს.

* * *

**კითხვა: ვმუშაობთ ცვლაში, თუ შეიძლება აგვიხსენით, როგორი წესით განისაზღვრება ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა და რამდენი საათი უნდა იყოს მოქმედი კანონის შესაბამისად ცვლებს შორის დასვენების ხანგრძლივობა?**

**ნინო ნოზაძე**

**თამარ კორკოტაშვილი**

**პასუხი:** ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით, რომელსაც ამტკიცებს დამსაქმებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. ცვლიანობის განრიგის ცვლილებების შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო.

სამუშაო დღეებს (ცვლებსძ შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

## დაიჯესტი

### მილიონი შიშველი მონრო



**სინიიტო სუძუკის, ხანდაზმული იაპონელი მხატვრის სახელოსნოში სიჩუმე სუფევს. ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში მხატვარი ძველთაძველი ტექნიკით მუშაობს – ბრინჯის ქაღალდზე ტუშით ხატავს...**

თანდათან ქაღალდის უზარმაზარ ფურცელზე (7 X 5 მეტრიძ, ერთი მეორის მიყოლებით მერილინ მონროს გამოსახულებები ჩნდება. მე-20 საუკუნის ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი მსახიობი ქალი მხატვრის ტილოზე ხან იცინის, ხან ნაღვლიანია, ხან ანცია, ხან მაცდური, ხან კარიკატურული, ხანაც სავსებით რეალური. მაგრამ ყველა ამ გამოსახულებას ერთი საერთო რამ აქვთ – მერილინი ყველგან შიშველია.

თავის დროზე სუძუკი მანდალას ხატავდა – ესაა ბუდიზმის არსის გრაფიკული გამოსახვა (ვიზუალურად იგი კონცენტრიულ წრეებს წარმოადგენს მრავალჯერადი გამეორებული წმინდა გამონათქვამებითძ. მაგრამ სახელოვანი ამერიკელი მსახიობის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ მისი შემოქმედების მთავარი თემაა მერილინ მონრო. ცოტა ხნის წინათ სუძუკიმ 300 ათასი მერილინისგან შემდგარი მანდალა შექმნა.

ის ნახატი, რომლის შექმნაზე მხატვარი ამჯერად მუშაობს, გაცილებით უფრო მონუმენტურია. მას უნდა ნახატზე მერილინის... მილიონი პორტრეტი განათავსოს, რომელთა ზომა ორი მილიმეტრიდან ათ სანტიმეტრამდე იქნება, თან ისე, რომ არც ერთი პოზა და სახის გამომეტყველება არ გამეორდეს. სურათის შექმნას, მხატვრის ვარაუდით, დაახლოებით 5-6 წელი დასჭირდება.

### „თოჯინების თეატრი“

**საქვეყნოდ ცნობილი თოჯინა ბარბისა და მისი მეგობრის კენის შემქმნელმა კომპანია „მეტელმა“ განაცხადა, რომ... გეი-თოჯინის გამოშვებას აპირებს, რომელსაც ენდი მილზი ერქმევა!** ამ, უკაცრავად და, „მეთოჯინეთა“ ჩანაფიქრით, ენდი მილზი, წვეულებათა ნიუ-იორკელი მომწყობი, სულით ხორცამდე ჰომოსექსუალისტია. თოჯინა 179,99 დოლარი ეღირება, მას კოსტიუმი, ჰალსტუხი და სათვალე „დაამშვენებს“. ისე, რომ იცოდეთ, თოჯინებით თამაში სასიკეთოს არაფერს მოგიტანთ, ბიჭებო: ბარბით კი დაიწყებთ, მაგრამ მერე, „მეტელის“ მესვეურებივით ენდისთან თამაშით შეიძლება დაასრულოთ...



### გულს გაუფრთხილდით, საჭმელი თავად მოამზადეთ!

**ხორცის ნახევარფაბრიკატები გულის დაავადებებს იწვევენ, ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები.**

**მათ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში... ათი ქვეყნის 1,2 მილიონმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. აღმოჩნდა, რომ ყოველდღიურად მხოლოდ 50 გრამი ძეხვის, სოსისის, კატლეტისა და სხვა ნახევარფაბრიკატის მოხმარება, გულის დაავადებათა რისკს 42 პროცენტით, ხოლო დიაბეტით დასნეულების საფრთხეს 19 პროცენტით ზრდის.**

ძირითად საშიშროებას მარილები და ნიტრატების კონსერვანტები წარმოადგენენ. მარილი საგრძნობლად წევს არტერიულ წნევას, რაც პირდაპირ კავშირშია გულის სნეულებებთან. ნიტრატული კონსერვები კი ათეროსკლეროზს იწვევს და გლუკოზის ტოლერანტობას აქვეითებს, რის გამო გულის დაავადებათა და დიაბეტის წარმოქმნის საფრთხე მატულობს.



### სუნამო, ტუალეტის წყალი, ოდეკოლონი და სხვა

**ქალებს (და არა მარტო მათძ, ნამდვილად დააინტერესებს, თუ რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან პარფიუმერიის პროდუქტები. ისინი ყველანი არომატული კომპოზიციების სპირტთან ნაერთებს წარმოადგენენ, განსხვავება მხოლოდ სურნელის კონცენტრაციაშია. საკუთრივ არომატის კონცენტრაცია განაპირობებს იმას, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება სურნელოვანი სითხე. კერძოდ, სუნამო (პარფიუმიძ მის 18-35 პროცენტს შეიცავს; პარფიუმერული წყალი – 10-18 პროცენტს; ტუალეტის წყალი – 6-10 პროცენტს, ოდეკოლონი – 3-5 პროცენტს, გამაგრილებელი წყალი – 3 პროცენტს.**

თუ სუნამოს არომატი კანზე რამდენიმე დღის განმავლობაში ნარჩუნდება, ტუალეტის წყალს ნაკლები მდგრადობა ახასიათებს. სწორედ ეს თვისება იზიდავს მომხმარებელს, რადგან მისი ადვილად აორთქლება დღის განმავლობაში რამდენიმე არომატის გამოცვლის საშუალებას იძლევა.

გამორიცხული არ არის, რომ სუნამოების მიმართ ინტერესი უფრო მეტად გაიზარდოს, თუკი მოდაში კვლავ შემოვა გაჯერებული აღმოსავლური არომატები, რაც უკვე შეინიშნება კიდეც. ამდენად, პარფიუმერები ქალბატონებს დღისით ტუალეტის წყლის მსუბუქ სურნელებას სთავაზობენ, საღამო კი მგრძნობიარე სუნამოების დროა...



## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● გერმანელებმა პირველებმა გადმოიღეს რომაელებისაგან სახლების დაფნით მორთვის ტრადიცია. ვინაიდან მათთან დაფნა არ ხარობდა, არჩევანი ნაძვზე შეაჩერეს, ნაძვიც დაფნასავით მარადმწვანეა, ხოლო მწვანე ფერი ძველ ეგვიპტეში სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების სიმბოლო გახლდათ. სხვა ვერსიით კი ნაძვს ეს მისია იმიტომ დააკისრეს, რომ მათი აზრით, წვეტიანი წიწვები ავი სულისგან იცავდა ოჯახს. თავდაპირველად, გერმანელები საშობაოდ პირდაპირ ტყეში რთავდნენ ნაძვებს და მის ირგვლივ ცეკვავდნენ. XVI საუკუნეში კი ელზასში მორთულმა ნაძვის ხემ სახლებში გადაინაცვლა, ოღონდ მას კი არ დგამდნენ, არამედ კენწეროთი ქვემოთ კიდებდნენ და ეს ტრადიცია თითქმის ორ საუკუნეს გაგრძელდა. დღევანდელი სახე ნაძვის ხემ გერმანიაში XVIII საუკუნის დამდეგს მიიღო და მთელ ევროპაში გავრცელდა.

● რუსეთში თავდაპირველად იქ მცხოვრები გერმანელები რთავდნენ ნაძვის ხეს. ერთხელ პეტრე I თავის მეგობარ ადმირალ ლეფორტს ეწვია საახალწლოდ, მოეწონა მორთული ნაძვისხე და ბრძანა, ახალი წელი დაწესებული იყო არა I-ელ სექტემბერს, არამედ I-ელ იანვარს. რუსმა მოქალაქეებმა ნაძვის ხის მორთვა საახალწლოდ XIX საუკუნის ბოლოდან დაიწყეს და შემდეგ ეს ტრადიცია საქართველოშიც გავრცელდა.

● ლონდონში ჭეშმარიტ ლონდონელად მიიჩნევა ის, ვინც სენტ-მერი-ლებოუს ეკლესიის ზარის ხმის გავრცელების არეალშია დაბადებული.

● ძველი ეგვიპტური იეროგლიფები როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ასევე მარჯვნიდან მარცხნივ იკითხებოდა. იმას, თუ რა მიმართულებით უნდა წაკითხულიყო ტექსტი, განსაზღვრავდა ის, თუ რომელ მხარეს იყურებოდნენ ადამიანთა და ცხოველთა ფიგურები.

● შაჰ-აბასის თანამედროვე ისტორიკოსი მოგვითხრობს მის საგანგებო ჯალათთა შესახებ, რომელნიც ცოცხლად ჭამდნენ ადამიანებს. ისინი ხელიდან გლეჯდნენ ერთმანეთს სიკვდილმისჯილს, ერთმანეთს ასწრებდნენ განწირულის ცხვირის, ყურის, ლოყის, ძუძუ-მკერდის თუ სასქესო ორგანოთა მოკბეჩას. მანამდე ჭამდნენ, სანამ ნახევრად შეჭმულ კაცს სული არ ამოხდებოდა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6651 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4176 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6790 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9888 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5141 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1163 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0886 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0309 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5764 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +21 – +34 |
| ქუთაისი. | +21 – +31 |
| ბათუმი. | +22 – +29 |
| ზუგდიდი. | +22 – +31 |
| თელავი. | +22 – +32 |

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

შვილიშვილი ეკითხება ბებოს:

– ბებია, რატომ ჰკიდია ჩვენს სახლში ყველგან თვალის სურათი?

– იმიტომ, რომ ბაბუაშენი თვალის ექიმი იყო.

– ჰოო, კიდევ კარგი, გინეკოლოგი არ იყო...

* * *

– რა საინტერესოა, თუ კინოდარბაზის ბოლო რიგები კოცნაობისთვის არის განკუთვნილი, რაღას უნდა შვრებოდეს თავის კაბინაში კინომექანიკოსი?

* * *

ბერბიჭა მიხო თაიგულით ხელში ესტუმრა მეზობლის ოჯახს.



– რა მოხდა, რა გინდა, მიხო? – ეკითხება დიასახლისი თებრო.

– აი, ქალბატონო თებრო, თქვენი გოგო უკვე 20 წელია მიყვარს და...

– მერე, რა, პენსიის დანიშვნას ხომ არ ითხოვ?

* * *

იტალიური ფილმის პრემიერაა. ეკრანზე შიშველი ქალი ლოგინში წევს. იქვე აფორიაქებული მამაკაცი შარვლის ტოტში ფეხის გაყრას ცდილობს.

– კასტრატო! იმპოტენტო! – ყვირის ქალი.

მთარგმნელის ხმა კადრს მილმა.:

– წადი! აღარ მიყვარხარ.

* * *

– არ მესმის, ძვირფასო, რატომ ხარ უკმაყოფილო. ყოველ დილით საწოლში ყავას ხომ მოგართმევ ხოლმე. შენ მხოლოდ დაფქვაღა გრჩება.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24